საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 256 (535) ხუთშაბათი, 17 დეკემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

გუშინ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

შეთანხმება დაარღვიეს

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრმა გვაცნობა, რომ 15 დეკემბერს აფხაზურმა მხარემ რამდენჯერმე დაარღვია ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და განაახლა საბრძოლო მოქმედება.

მდინარე გუმისთაზე მოწინააღმდეგემ დილის 10 საათისათვის ჩვენი პოზიციების მიმართულებით გახსნა ძლიერი ცეცხლი, რის შედეგადაც დაიწვა კიდევ ერთი საცხოვრებელი სახლი სოფელ აჩადარაში. ფრონტის ამ უბანზე ჩვენს მხარეს საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნია.

• • •

ოჩამჩირის რაიონში ტამიშ-კინდღის მონაკვეთზე დღის განმავლობაში სიმშვიდე იყო შენარჩუნებული. სოფელ არადუსთან კი მოწინააღმდეგემ კვლავ განახორციელა შეტევა, მაგრამ უშედეგოდ. კონტრშეტევის შემდეგ ისინი ზარალით უკუიქცნენ.

15 დეკემბერს, 23 საათისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი დაუკავშირდა გუდაუთაში არსებულ სამხედრო შტაბს, ესაუბრა შტაბის უფროსის სულთან სოსნალიევის მოადგილეს და განუცხადა პროტესტი მოწინააღმდეგე მხარის მიერ შეთანხმების დარღვევისა და საბრძოლო ოპერაციების წარმოების გამო მდინარე გუმისთასთან და ოჩამჩირის რაიონში. შტაბის უფროსის მოადგილემ უპასუხა, რომ გუმისთაზე ცეცხლის შესაწყვეტად ზომები მიღებული იქნებოდა. ასეც მოხდა: აფხაზურმა მხარემ 15 დეკემბერს გვიან საღამოს შეწყვიტა საომარი მოქმედება მდინარე გუმისთასთან.

რაც შეეხება ოჩამჩირის რაიონს და იქ მოქმედ რაზმებს, — როგორც შტაბის უფროსის მოადგილემ განაცხადა, — აქ მდგომარეობას ვერ აკონტროლებენ, ბრძანების გაცემა არ შეუძლიათ და ამდენად მათ მოქმედებაზე პასუხისმგებლობას ისინი ვერ იკისრებენ.

ი. გოგეჩია.

●

განიხილეს კრიმინოგენული ვითარება

16 დეკემბერს პოლიციის თბილისის სამმართველოში პოლიციის პირადი შემადგენლობის დაჟინებული მოთხოვნით გაიმართა კრება თ. კიტოვანის, ა. კამკამიძის, შინაგან საქმეთა მინისტრის თ. ხაჩიშვილის, აგრეთვე სახალხო დეპუტატების ნ. ნათაძისა და შ. ნათელაშვილის მონაწილეობით. კრების მიზეზი იყო ის, რომ წინა დღეს გლდანის პოლიციის შენობას თავს დაესხა „გლდანის საძმოს" შეიარაღებული რაზმი, რომელმაც გაათავისუფლა პოლიციის მიერ დაკავებული 8 კაცი.

განიხილეს ქალაქში არსებული რთული კრიმინოგენული ვითარება. პოლიციაზე თავდასხმის ხშირი შემთხვევები, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დაუშვებელია ქალაქში არსებობდეს ასეთი კონტროლს დაუქვემდებარებელი შეიარაღებული რაზმები.

ამ დღეებში

მკითხველს სთავაზობენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

რესპუბლიკაში დაიწყო და ყოველდღიურად ფართოვდება მოძრაობა საქართველოს თავდაცვის ფონდის შესაქმნელად

საქართველოში მცხოვრებმა ყველა მოქალაქემ გულთან ახლოს მიიტანა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიმართვა საქართველოს მოსახლეობას, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ყველა თანამემამულეს, რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებს, ბიზნესმენებს ჩაბმულიყვნენ თავდაცვის ფონდის შესაქმნელად გაშლილ სახალხო მოძრაობაში.

რესპუბლიკაში დაიწყო და ყოველდღიურად ფართოვდება ეს მოძრაობა. ამ ჭეშმარიტად მამულიშვილურ საქმეში მონაწილეობენ მოქალაქენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ადამიანები სულითა და გულით გაიღებენ იმდენს, რამდენიც შეუძლიათ, რადგან ღრმად სწამთ, რომ მათი წვლილიც იქნება ძლიერი, კარგად აღჭურვილი ეროვნული არმიის შექმნაში.

16 დეკემბერს ბატონი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ეროვნული თავდაცვის ფონდის გამგეობის შექმნის საორგანიზაციო კომიტეტისა და ფონდის საკონტროლო საპარლამენტო დროებითი კომისიის წევრებს.

სახელმწიფოს მეთაურმა ილაპარაკა ამ ფონდის უდიდეს მნიშვნელობაზე, რომელსაც ბიუჯეტის მწვავე დეფიციტის პირობებში განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ამ სერიოზულ საქმეს პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს ძლიერება, მისი ეროვნული არმიის ფორმირება. ხაზი გაესვა იმას, რომ მკაცრ კონტროლს უნდა დაუქვემდებარდეს ყოველი მანეთი, ყოველი კაპიკი, რათა ეს თანხები მიზანმიმართულად დაიხარჯოს.

ამასთან დაკავშირებით ბევრი რამ უნდა გააკეთოს ამ ფონდის გამგეობამ. უპირველესად უნდა შეიქმნას ფონდის წესდება, დებულება, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავენ და მოაწესრიგებენ გამგეობის უფლებებსა და მოვალეობებს. შესაძლოა ამ ფონდში გაერთიანდნენ კოლექტიური წევრებიც, რადგან ეს დროებითი არ არის, არამედ მუდმივმოქმედი იქნება.

ფონდის გამგეობის შექმნის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, პარლამენტის წევრმა ჭაბუა ამირეჯიბმა თქვა, რომ ყოველ თვეში, ან გარკვეული პერიოდის შემდეგ რესპუბლიკის მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ სად და რამდენი იხარჯება შემოსული თანხები. ყველამ უნდა იცოდეს, რომ თანხა მოხმარდება მხოლოდ იმას, რისთვისაც უშურველად გაიღო ხალხმა.

შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა იოსელიანი.

სურათზე: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე თავდაცვის ფონდის სამმართველოს წევრებთან საუბრის დროს.

გივი კიკვაძის ფოტო (საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს ფოტოქრონიკა).

სიახლე პარლამენტის საქმიანობაში

საქართველოს პარლამენტის 15 დეკემბრის სხდომაზე, როგორც ვიუწყებოდით, მწვავე მსჯელობის საგანი გახდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი უკანასკნელ დროს განვითარებული მოვლენების ფონზე.

საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯაბა იოსელიანმა აღნიშნა, რომ აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით მოლაპარაკება ადგილობრივი ხასიათისაა და მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ადგილზე ოპერატიულად უნდა გადაწყდეს საკითხები. მისი აზრით, აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა დიდად რთული არ არის, თუ გამოირიცხა რუსეთის ჩარევა ამ კონფლიქტში. ბატონმა ჯაბა იოსელიანმა თქვა, რომ საქართველომ კატეგორიულად უნდა უარყოს რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის შექმნაში თავისი რაიმე მონაწილეობა.

პარლამენტარებმა მხარი დაუჭირეს გამოთქმულ აზრს. კერძოდ აღინიშნა, რომ საქართველომ მკაფიოდ უნდა გამოხატოს თავისი ორიენტაცია დასავლეთის სამყაროსადმი, რადგანაც რუსეთის იმპერიის მოდერნიზაციის ახალი ცდები მომაკვდინებელ საშიშროებას უქადის ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას.

შეხვედრების შემდეგ პარლამენტარები კვლავ დაუბრუნდნენ აფხაზეთის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის განხილვას. აზრთა გაზიარების შემდეგ გადაწყდა, რომ ჯერ გაირკვეს დროებითი კომისიის სტატუსი და შემდეგ იმსჯელებენ მის ხელმძღვანელზე.

ამის შემდეგ სხდომა შეუდგა დღის წესრიგით გათვალისწინებული მორიგი საკითხის — საქართველოს პარლამენტის კომისიების შესახებ კანონპროექტის განხილვას.

16 დეკემბერს დილიდან საქართველოს პარლამენტის მუშაობა წარიმართა მის მუდმივმოქმედ კომისიებში. დღის მეორე ნახევარი კი წინასწარი შეთანხმებით მიეძღვნა იმ საკითხების განხილვას, რომლებსაც ჩვეულებრივ ითვალისწინებდა პარლამენტის სხდომის დღის წესრიგში მოცემული პუნქტი „სხვადასხვა". ამიერიდან კვირაში ერთი სხდომა დაეთმობა სწორედ პარლამენტარების მიერ დაყენებული საკითხების განხილვას.

სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ.**

კატასტროფისა და მგზავრების დაღუპვის ფაქტის გამო

როგორც რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა განცხადებებიდან არის ცნობილი, 1992 წლის 14 დეკემბერს, გულრიფშის რაიონის სოფელ ლატის ტერიტორიაზე ავარია განიცადა რუსეთის შეიარაღებული ძალების მი-8 მგვ სამხედრო ვერტმფრენავმა, რომელიც იმავე წყაროების ინფორმაციით ასრულებდა ჰუმანიტარულ რეისს ტყვარჩელიდან გუდაუთაში სამოქალაქო პირებითურთ და რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სუ-25 ტიპის სამხედრო თვითმფრინავების თანხლებით.

ვერტმფრენავის ჩამოვარდნის ადგილიდან, დათვალიერებისას, ამოიღეს რამდენიმე ერთეული დამწვარი ავტომატური იარაღი, ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა, ჯავშანჟილეტების დამწვარი ნაშთები, გრანატსატყორცნების ჭურვები და სხვა საბრძოლო ნივთიერებები. ამრიგად, უდავო გახდა, რომ ვერტმფრენავში სამოქალაქო პირების გარდა, იმყოფებოდნენ შეიარაღებულნიც, იყო იარაღი და ტყვია-წამალი, რაც ეწინააღმდეგება აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარების სარდლობასთან იმის თაობაზე შეთანხმებას, რომ რეისებს ისინი შეასრულებდნენ მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით, ჰუმანიტარული დახმარების გადასატანად და სამოქალაქო პირების გადასაყვანად. გარდა ამისა, ეკიპაჟმა დაარღვია შეთანხმება, სანაპიროს გასწვრივ საჰაერო დერეფანით რუსეთის შეიარაღებული ძალების ვერტმფრენავების ფრენისა და სოხუმის აეროპორტში შემოწმებისათვის მათი სავალდებულო დაშვების შესახებ. შემთხვევის ადგილის დათვალიერება ამჟამადაც გრძელდება. იმასთან დაკავშირებით, რომ ვერტმფრენავის დეტალები და მასში არსებული ტვირთი დიდ ტერიტორიაზეა მიმოფანტული, დღეისათვის გამოძიებამ ვერ აღმოაჩინა მტკიცებულება ჭურვით ვერტმფრენავის დაზიანების შესახებ.

— წინასწარი მონაცემებით, ვერტმფრენავში იმყოფებოდა 55-ზე მეტი მგზავრი და ტვირთი, რაც მიანიშნებს, რომ კატასტროფის მიზეზი შესაძლოა გადატვირთვა იყოს.

კატასტროფისა და მგზავრების დაღუპვის ფაქტის გამო, ჩვენ აღვძარით სისხლის სამართლის საქმე. ავიაკატასტროფის მიზეზებს გამოძიება ადგენს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დაღუპულთა გვამები კატასტროფის ადგილიდან მაშინვე გაიტანეს რუსეთის ჯარების სამხედრო მოსამსახურეებმა ქალაქ სოხუმში ჯარის ნაწილის ტერიტორიაზე. აფხაზეთის პროკურატურას უარი ეთქვა გვამების შემოწმებასა და სხვა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების წარმოებაზე, და ამით წაერთვა ობიექტური ძიების შესაძლებლობა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა დაჟინებით მოითხოვს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის ჯარების ხელმძღვანელობამ არ შეუქმნას დაბრკოლებები ვერტმფრენავის კატასტროფის ფაქტის ძიების განხორციელებაში. თავის მხრივ, აფხაზეთის პროკურატურამ აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის ჯარების ხელმძღვანელობას ყოველმხრივი დახმარება გაუწია ავიაკატასტროფის ფაქტის გამო, სამსახურებრივი გამოძიების განხორციელებისათვის.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა.

სამი კითხვა ახლად დანიშნულ ხელმძღვანელს

„კანონიერება არ უნდა დაირღვეს"

გვესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი თედო ნინიძე

პარლამენტის ამასწინანდელ სხდომაზე, სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიერ გენერალური პროკურორის თანამდებობაზე თედო ნინიძის კანდიდატურის დასახელებამ ზოგიერთი პარლამენტარის საწინააღმდეგო მოსაზრება გამოიწვია, რატომ პროკურორად, როცა იგი გამზადებული იუსტიციის მინისტრია.

კანონების ზედმიწევნით მცოდნე იურისტისთვის ეს თანამდებობა უპრიანი უნდა იყოს, მაგრამ გენერალური პროკურორის პოსტზეც ასეთი კაცის დანიშვნა აწყენს საქმეს?

კენჭისყრამ სასწორი გენერალური პროკურორის პოსტისკენ გადახარა და ბატონი თედო ნინიძე დღეს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორია.

— როგორ შეაფასებდით პროკურატურის ამჟამინდელ მდგომარეობას?

— ჩემს პასუხს ვითარების ყოველმხრივი ანალიზის პრეტენზია ვერ ექნება. ვიტყვი მხოლოდ, რომ სამართალდამცავი ორგანოების შეფასების კრიტერიუმი უპირველეს ყოვლისა შექმნილი კრიმინოგენული ვითარებაა. ხალხი ამის მიხედვით აფასებს როგორც პროკურატურის, ისე სხვა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას. თუმცა დღევანდელი მძიმე კრიმინოგენული ვითარება მრავალი სხვა ფაქტორითაც არის განპირობებული. უპირველესად: პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა ფაქტორებით: ამჟამინდელი ჩვენი საფიქრალი უნდა იყოს, თუ პროკურატურამ როგორ დაიკავოს ჯეროვანი ადგილი დამნაშავეობასთან ბრძოლის სახელმწიფოებრივ მექანიზმში და იქცეს მომავალი სამართლებრივი რეფორმის ერთ-ერთ აქტიურ სუბიექტად და შემოქმედად.

— რა არის საჭირო ახლანდელი მდგომარეობის თუნდაც ნაწილობრივ გასაუმჯობესებლად, კონკრეტულად რისი გაკეთება მიგაჩნიათ აუცილებლად უახლოეს თვეებში?

— გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი სახელმწიფო პროგრამის შექმნა და პარლამენტში მისი მიღება. ამ პროგრამის ინიციატორი პროკურატურა უნდა იყოს. სახელმწიფო პროგრამით უნდა განისაზღვროს ყველა სახელმწიფო უწყების ადგილი სამართალდარღვევებთან ბრძოლის სისტემაში. პროკურატურამ უპირველეს ყოვლისა უნდა იზრუნოს სამართალდარღვევებთან ბრძოლის პროცესში არ დაირღვეს კანონიერება, არ შეილახოს მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლება.

უნდა გადაიდგას ნაბიჯები იქითკენ, რომ მოწესრიგდეს სამართალდარღვევათა ზუსტი აღრიცხვა, გაძლიერდეს ზედამხედველობა შინაგან საქმეთა ორგანოების განყოფილებებისადმი, რათა ხალხმა დაინახოს, რომ სახელმწიფოს არც ერთი სამართალდარღვევა, არაფერს ვამბობ დანაშაულზე, არ რჩება აღურიცხავი და შეუმჩნეველი. შემდეგი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა დანაშაულის გახსნა და ზედამხედველობა მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებისადმი.

შექმნილი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო, არცთუ იშვიათად, სამართალდაცვის ორგანოების მუშაკების საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების შედეგად არაერთი სისხლის სამართლის საქმე გაუხსნელი. მოსახლეობა კი ამ დანაშაულობებზე რეაგირებას ელოდება.

ყველას მოეხსენება, რომ გამოძიების ეფექტიანობას უპირველესად მისი მუშაკების ოპერატიულობა და ფაქტებზე დროული რეაგირება განსაზღვრავს. დრო ულმობლად შლის დამნაშავეთა ნაკვალევს. რესპუბლიკის პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანოებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისთვის, რომ მოსახლეობას არ გაუცრუვდეს იმედი, რომლითაც ამ სამსახურებს შეჰყურებს.

— როგორ გესახებათ პროკურატურის მუშაობა საბაზრო ეკონომიკისა და საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირობებში?

— საბჭოთა კავშირის არსებობის დროს პროკურატურა ერთიან, მკაცრად ცენტრალიზებულ სისტემას შეადგენდა. მოკავშირე რესპუბლიკის პროკურატურა მთლიანად ეფუძნებოდა საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებებსა და სხვა საკავშირო აქტებს. დღეს საქართველოს პროკურატურა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ორგანოა და საპროკურორო ზედამხედველობა წარმოადგენს დამოუკიდებელი სახელმწიფოს საქმიანობის ერთ-ერთ ფორმას. ამდენად, ჩვენ უნდა შევქმნათ დამოუკიდებელი ნორმატიული ბაზა, რომელზეც უნდა ავაგოთ თვითმყოფადი სამართლებრივი პოლიტიკა.

პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა სამინისტროებისა და უწყებების აქტების კანონიერებისადმი ზედამხედველობა. ასევე მისი ფუნქციაა ზედამხედველობა გაუწიოს არა მხოლოდ აქტების კანონიერებას, არამედ, ზოგადად, საქმიანობის კანონიერებასაც. ეს სამინისტროები და უწყებები ამჟამად მოქმედებენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში. შესაბამისად იცვლება საპროკურორო ზედამხედველობის შინაარსიც. საპროკურორო ზედამხედველობის ქვეშ ექცევა არასახელმწიფოებრივი ეკონომიკური სექტორიც. ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება კი ჯერჯერობით არა გვაქვს. არ უნდა მოხდეს ისე, რომ თავისუფალი ეკონომიკა გაიგივდეს სახალხო დოვლათის განიავებასა, განუკითხაობასა და ქაოსთან.

საბაზრო ეკონომიკის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტების შექმნა და ამ აქტების შესრულების კანონიერებისადმი კონტროლი, უნდა იყოს თანმხლები პროცესი, რომელშიც პროკურატურამ განსაზღვრული როლი უნდა შეასრულოს.

მძიმე ტვირთი ხვდა წილად ბატონ თედო ნინიძეს. დღევანდელ ურთულეს კრიმინოგენულ ვითარებაში გენერალური პროკურორობა არც ისე იოლია, მაგრამ, როგორც იტყვიან, კაცი მაინც იმით ფასდება, რამდენს იტვირთავს ცხოვრებაში.

ესაუბრა

რუსუდან ლორთქიფანიძე.

დაიბადა 1950 წლის 2 იანვარს ოზურგეთის რაიონის სოფელ ასკანაში. საშუალო სკოლის ვერცხლის მედალზე დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე გამოცდები ჩააბარა მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში. აქედან მივლინებით გაიგზავნა მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მუშაობდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ადმინისტრაციული განყოფილების ინსტრუქტორად, იუსტიციის მინისტრის მოადგილედ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტად, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის სექტორის გამგედ, ჟურნალ „სამართლის" რედაქტორად. გენერალურ პროკურორად დანიშვნამდე სახელმწიფო საბჭოს იურიდიულ კომისიას თავმჯდომარეობდა.

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

ნომერშია

- რატომ ასდის პურს ბენზინის სუნი? 2
- მწერალი და დრო. 3

მის აღმატებულებას ბატონ ვ. ს. ჩერნომირდინს რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

პატივცემულო ვიქტორ სტეფანეს ძევ!

სულითა და გულით გილოცავთ რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტის დაკავებას და დიდ წარმატებებს გისურვებთ ამ უაღრესად ძნელ და პასუხსაგებ ასპარეზზე.

ეს მილოცვა იმდენადვე გულწრფელია, რამდენადაც დიდია სურვილი ვაშენოთ ახალი სრულფასოვანი ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების შესაბამისად, ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების კეთილდღეობისათვის.

ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ პრეზიდენტ ბ. ელცინის არჩევანი უმძიმესი კრიზისის რთულ პირობებში ის არჩევანია, რომელსაც მიესალმებიან საქართველოშიც, სადაც თქვენ ახსოვხართ და გაფასებენ, როგორც შესანიშნავ ხელმძღვანელს, დიდ სპეციალისტსა და კეთილ გულისხმიერ ადამიანს.

ვიმედოვნებთ, შევძლებთ ისეთი საქმიანი კონტაქტების დამყარებას, რომლებიც ხელს შეუწყობს თქვენს მიერ განხორციელებული გარდაქმნების წარმატებას და ღირსეულად დაგვაძლევინებს ჩვენი დროის სირთულეებს.

კიდევ ერთხელ გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

ე. შევარდნაძე.

მიზანია ეთნოკონფლიქტების მოწესრიგება

საუბარი ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მისიასთან

16 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ მიიღო რესპუბლიკაში სამშვიდობო მისიით ჩამოსული ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმომადგენელთა დელეგაცია უნგრეთის ელჩის იშტვან გიარმატის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან თურქეთის, გერმანიის, შვეციის, პოლონეთის, უნგრეთის, საფრანგეთის ექსპერტები. მისიის მიზანია, გამონახონ საქართველოში ეთნოკონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების გზები.

მისიის წევრებმა ერთმანეთს გაუზიარეს შთაბეჭდილებანი, რომლებიც მიიღეს ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში თავიანთ პირველ მოგზაურობათა დროს: მათ ჩამოაყალიბეს თავიანთი თვალსაზრისი იქ მიმდინარე პროცესების გამო, შეეხნენ მეზობელ სახელმწიფოებთან, კერძოდ რუსეთთან საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივებს და, როგორც აღნიშნეს, რუსეთს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ეთნოკრიზისების მოგვარებაში.

ვახტანგ გოგუაძემ აღნიშნა, რომ საქართველო, რა თქმა უნდა, დაინტერესებულია კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს რუსეთთან თანასწორუფლებიან საწყისებზე. ამავე დროს, მხედველობაში იღებენ იმ ფაქტს, რომ დემოკრატიულ პროცესებს ამ ქვეყანაში უპირისპირდებიან, რეაქციული, კონსერვატიული ძალები, რომლებიც იმპერიულ პოზიციებს აღგანან და ცდილობენ, სუვერენულ სახელმწიფოებს უკარნახონ თავიანთი პირობები, ჩაერიონ მათ საშინაო საქმეებში.

პარლამენტის სპიკერმა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მისიას უსურვა ნაყოფიერი მუშაობა, რომელსაც იგი საქართველოში განახორციელებს სამი თვის განმავლობაში.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ჯაჯა ადამია.

• • •

იმავე დღეს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მისიის წევრები შეხვდნენ და ესაუბრნენ საქართველოს პარლამენტის მთელ რიგ მუდმივ კომისიათა ხელმძღვანელებს.

დეტალური ინფორმაცია ამ სამწუხარო ფაქტის შესახებ გამოქვეყნდება სათანადო გამოძიების შემდეგ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის პრესმდივნის განცხადება

სოხუმიდან მიღებული ცნობების თანახმად, აღმოჩენილია ვერტმფრენი, რომელიც დაუდგენელი მიზეზების შედეგად ჩამოვარდა გულრიფშის რაიონში. ამოღებულია ე. წ. „შავი ყუთი", რომელიც დადგენილი წესების შესაბამისად შემოწმდება.

აღსანიშნავია, რომ ქალებთან და ბავშვებთან ერთად ვერტმფრენში იმყოფებოდნენ შეიარაღებული მებრძოლები. ამოღებულია საბრძოლო იარაღი, ჯავშანჟილეტები. როგორც სოხუმიდან გვაცნობებს, დაღუპულთა შორის არის სამი რუსი მფრინავი. დეტალური ინფორმაცია ამ სამწუხარო ფაქტის შესახებ გამოქვეყნდება სათანადო გამოძიების შემდეგ.

აქ კიდევ ერთხელ უნდა იყოს ხაზგასმული, რომ რუსეთის თვითმფრინავები, როგორც აღინიშნული შვეულმფრენი, ასევე სუ-25 ტიპისა, დაფრინავდნენ საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფალთა ნებართვის გარეშე, ყოველგვარი წესების უგულებელყოფით. უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი, დაღუპვა იმათ სინდისზეა, ვინც ასე უცერემონიოდ არღვევს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ელემენტარულ წესებს.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილსა და მის პირველ მოადგილეს ლორიკ მარშანიას სთხოვა გადასცენ მისი ღრმა სამძიმარი რუსეთის ხელისუფლების უპასუხისმგებლო წარმომადგენელთა მოქმედების შედეგად დაღუპულთა ოჯახებს.

მისთვისაც ძვირფასია სამშობლოს მომავალი

თავდაცვის ფონდს შეეწივნენ

● **საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თანამშრომლებმა პირადი დანაზოგიდან საქართველოს თავდაცვის ფონდში შეიტანეს 300.000 მანეთი.

ამასთან, მიიღეს გადაწყვეტილება, ყოველთვიური ხელფასიდან თავდაცვის ფონდში შეიტანონ 80 000 მანეთი.

● **დედაქალაქის** ვაკის და საბურთალოს რაიონების, კერძოდ, ზემო ვეძისის, ვაშლიჯვრის, ლისის ტბის დასახლებების, ვერის და საბურთალოს უბნების აზერბაიჯანელმა მოსახლეობამ 34 400 მანეთი ჩარიცხა ფონდში.

● **კინოკონცერნ** „ქართული ფილმის" კოლექტივმა (დირექტორი — რეზო ჩხეიძე) ჩარიცხა მილიონი მანეთი.

● **კაბელის** ქარხანა „კავკასელექტროკაბელმა" (დირექტორი — — მოსიაშვილი) მილიონი მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლა დღითიდღე გამძაფრდება

შეხვედრა ქალაქის ხელმძღვანელებთან

მაფიოზური კლანები საბაზრო ეკონომიკის განვითარების საშიში მტრები არიან. ამიტომ დაუძინებელ ბრძოლას ვუცხადებთ მათ — განაცხადა 14 დეკემბერს ქალაქ თბილისის ხელმძღვანელობასთან ტრადიციად დამკვიდრებული შეხვედრის დროს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ**.

ქალაქის პროკურორის **მიხეილ ქურდაძის** ინფორმაციის თანახმად მთელი წლის განმავლობაში თბილისში ჩადენილი ხუთი ათასი დანაშაულიდან წინასწარ გამოძიებული და სასამართლომდე მიტანილია მხოლოდ ცხრაასი საქმე. დანაშაულის გაუხსნელობის მიზეზით შეჩერებულია 8200 საქმის გამოძიება. აღნიშნული რაოდენობის დანაშაულთა გამოძიებაზე მხოლოდ ოცდაცამეტი გამომძიებელი მუშაობდა.

პირდაპირ კატასტროფულია, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში თბილისში დამნაშავეთა ხელით დაიღუპა თითქმის იმდენივე ახალგაზრდა, რამდენიც აფხაზეთის ომში.

ბატონ ქურდაძის თქმით, დანაშაულთა გახსნის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი ის არის, რომ საზოგადოებრივი აზრი ხშირად დამნაშავეთა სამყაროს მხარეზე იხრება. დაუცველია არა მარტო მოქალაქე, არამედ სამართალდამცავი ორგანოს მუშაკიც.

თუ სტრუქტურულად არ შეიცვალა სამართალდამცავი ორგანოები, მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი იქნება.

ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსის დავით ზეიკიძის აზრით, რეკეტის განვითარებამ ისეთ ეტაპს მიაღწია, რომ მასთან ბრძოლა დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული. სამწუხაროა, აღნიშნა მან, რომ ხშირად დანაშაულს შეიარაღებული ფორმირებების წევრები და გვარდიელის ყალბი წიგნაკით გათამამებული ახალგაზრდები სჩადიან. სამმართველოს უფროსის [illegible]მით, დამნაშავეთა განთავისუ[illegible]ს მიზნით სხვადასხვა ინსტან[illegible]ნ ხშირად რეკავენ, რაც მას აფიქრებინებს, რომ [illegible]ლიციის ორგანოს ზოგიერთ [illegible]შრომელს კავშირი აქვ[illegible] [illegible]ავეთა სამყაროსთან.

მისივე მონაცემებით, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში დაკავებულია რამდენიმე შენიღბულ დამნაშავეთა ჯგუფი. ჩადენილ დანაშაულთა 75 პროცენტი უკვე გახსნილია.

შეხვედრაზე კმაყოფილებით და იმედით აღინიშნა, რომ რკინიგზის მაგისტრალების დაცვის მიზნით შეიქმნა სატრანსპორტო პოლიცია რკინიგზის გასამხედროებული დაცვისა და სატრანსპორტო პოლიციის ბაზაზე.

სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებით ტრანსპორტის პოლიციის მუშაკებს დამნაშავეთა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში უფლება ეძლევათ შემთხვევის ადგილზე გაანადგურონ ბოროტმოქმედნი.

ქალაქის ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს საუბარი თბილისის მართვის ახალ სტრუქტურებსაც შეეხო.

შეხვედრის შედეგები შეაჯამა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

სარედაქციო ფოსტიდან

დადის და, დაჭორაკუდაობს...

ბატონო რედაქტორო!

თქვენი გაზეთის 10 დეკემბრის ნომერში წავიკითხე „იტარ-ტასის" კორესპონდენტის, ვინმე იური კოზლოვის ინფორმაცია ჩვენი პრეზიდენტყოფილის — ზ. გამსახურდიას ვენაში გამართული პრესკონფერენციის შესახებ, რომლისთვისაც რედაქციას თავისი დამოკიდებულების გამოსახატავად სათაურად წაუმძღვარებია ცნობილი ხალხური ანდაზა „მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდა"...

— კი, ბატონო, ყველას, მელა იქნება თუ დათვი, შეუძლია დაესიზმროს ის რაც ელანდება, მაგრამ ჩვენ ახლა სიზმრებისა და მოლანდებების დრო გვაქვს? განა ვერ უნდა მივხვდეთ იმას, რომ იღლიაში ვიდეოკასეტებ-დოკუმენტებამოჩრილ პრეზიდენტყოფილს ახლა ვიღაც, ჩვენთვის უხილავი „მომთვინიერებელ-მწვრთნელი" სახელგამოზომილს დაატარებს ევროპაში და ყოველნაირად ცდილობს ეს, მისი. ტაკიმასხრობა ისევ ჩვენი ქვეყნის, მისი ხალხის საწინააღმდეგოდ გამოიყენოს? არადა, აბა, დავფიქრდეთ: სახსრებსაც რომ თავი დავანებოთ, ვინ გაულებდა მას ვიდეოსისტემებით აღჭურვილ საპრესკონფერენციო დარბაზებს, ვინ შეუკრებდა მილეთის ჟურნალისტებს, ფოტორეპორტიორებს უკვე გონებაგამოცლილს, საკუთარი ხალხისათვის ტერორისტების მიმქსევს ისე, რომ ამით სარგებელს არ ხედავდეს?

და დადის ეს დაბოლმილი კაცი, ატრიალებს ვიდეოკასეტებს და გულაჩუყებული ცრემლნარევი ხმით მოუთხრობს მთელ ევროპასა და მსოფლიოს ქართველთა მხეცობაზე, ძალადობასა და ძარცვა-გლეჯაზე, გენოციდზე, რომელსაც თურმე, ისინი უწყობენ ჩვენთან მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს, საერთოდ უცხოტომელებს.

— მაი, დედასა, რატომ არ გადაბრუნდები საფლავში, კონსტანტინე ბატონო?!

განა ნიშანდობლივი არ არის ის გარემოებაც, რომ სწორედ ამ „ევროპულ ვოიაჟს" ასეთი გულმოდგინებით აშუქებს „იტარ-ტასი" — მთელი თავისი კოზლოვებით თუ ივანოვებით, ერთი სიტყვით, აქ, რომ იტყვიან, დიდი ჭკუა-გონება და განსჯა არ არის საჭირო იმისთვის, რომ მივხვდეთ: ყავისფერებმა თუ მიხაკისფერებმა უკვე საქმეში შეუშვეს ე. წ. „გამსახურდიას კოზირი", რათა მისი მეშვეობით საერთაშორისო წრეებში დაამკვიდრონ ის დეზინფორმაცია, რომელსაც ყოველდღიურად ასეთი გულმოდგინებით ავრცელებენ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. აბა, დააკვირდით, როგორი სტრუქტურით არის აგებული კორესპონდენტ იური კოზლოვის მასალა. რაღა არ არის აქ, დაწყებული ე. წ. სამხედრო გადატრიალებით, რომელიც, თურმე, გორბაჩოვისა და შევარდნაძის ინსპირირებული ყოფილა, ან, თუ როგორ დაიხარჯა კრემლის მილიონები პრეზიდენტყოფილის წინააღმდეგ ფართო პროპაგანდისტული კამპანიისთვის, როგორ შეუერთდნენ ამ ალიანსს ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ცნობილი ხელმძღვანელები და სხვა... ხედავთ, ვინღა არ გაერთიანებულა ამ ერთი „უცოდველი" კაცის დასაქცევად და ჩამოსაგდებად. ერთი სიტყვით, აქ არაფერია ისეთი, რომელიც ადრე თვით პრეზიდენტყოფილის ბაგეთაგან არ მოგვესმინოს. ამიტომაც, ცხადია, ვინც იცის, მართლაც რაშია საქმე, მას სახაცილოდ არ ეყოფა ეს უსუსური მტკიცებანი, მაგრამ როცა ეს მსოფლიო სააგენტოების არხებით ვრცელდება, იქნებ ამას ასე იოლად, მხოლოდ სარკასტულ სათაურში მასალის მოქცევით არ უნდა მივუდგეთ. ამ მოვლენის უკან უნდა დავინახოთ ის რეალობა, რომლის შესახებაც თავში მოგახსენეთ, და განვმარტოთ ის, რაც დღეს განმარტებას საჭიროებს.

ისე არ გამიგოთ, თითქოს პრესის თავისუფლებისა და ობიექტურობის პრინციპის მნიშვნელობა არ მესმოდეს. ღმერთმა დამიფაროს! თუ თავისუფლებაა, უფლება გაქვთ დაბეჭდოთ ის, რაც გსურთ, მაგრამ ერთი ანბანური ჭეშმარიტება არ უნდა დაგვავიწყდეთ. უნდა ყოველთვის გავითვალისწინოთ დრო, ატმოსფერო, შექმნილი საზოგადოებრივი ვითარება. მოდი და, აუხსენი რიგით მკითხველს, რომ ექვს ათეულს გადაცილებული კაცი, რომელიც დღეს ტყვიის წვიმასა თუ თოვლში წინ მიუძღვის თავის მხედრობას და შვილიან-ძირიანად საქართველოს სწირავს ყველაფერს, ძველი რეციდივისტი და მგლეჯავია, რადგან ეს ასე სურს ზ. გამსახურდიას. ან კიდევ ის, რომ დღეს, მას შემდეგ, რაც საერთოსახალხო არჩევნებით ავირჩიეთ ჩვენი ხელისუფლება, საქართველოს ისევ მაფიოზური მთავრობა მართავს, ეკლესიის წინამძღოლად ისევ უშიშროების კომიტეტის აგენტი გვიზის და ჩვენი ახალი სახელმწიფოს მეთაურიც ისევ გვერეკება „ესენგესა" და რუსეთის უღლისაკენ. რას იზამ, ასე მგონია, უფრო სწორედ, ასე აძლევთ ხელს პრეზიდენტყოფილს და იმათაც, ვინც მას ახლა დაატარებს ევროპაში. ალბათ ამიტომაც არც თავად ისვენებს და არც თავის ამფსონებს ასვენებს. აკი ამიტომაც გვიფეთქებენ ხიდებს, თავს ესხმიან მატარებლებს, გვიგზავნიან ტერორისტთა ჯგუფებს... ამაზე კი, ცხადია, იგი არაფერს ამბობს არც ვენაში და არც ჰელსინკში...

არც სხვაგან იტყვის.

ასე რომ, როდესაც ასეთ მასალას ვაქვეყნებთ, ალბათ სასურველი იქნებოდა, სათანადო განმარტებაც დაგვერთო და გვეთქვა სათქმელი.

ბონდო გოდერძიშვილი,
პედაგოგი.

საქართველოს პოლიცია: ამიერიდან შეურიგებელი იქნება

ველარ ვცნობთ თბილისს, სადღაა ხალხის ის ძველებური სიმშვიდე და ხალისი, რომლითაც ოდითგან განთქმული იყო ჩვენი დედაქალაქი. ოდნავ შებინდდება თუ არა, იგი მკვდარ ქალაქს ემსგავსება. იშვიათად შეხვდებით ქუჩაში კაცს, ვინც გარეთაა, ისინიც ჩქარობენ... ჩქარობენ, რათა არ აღმოჩნდნენ ქალაქში მოთარეშე ბანდიტების პირისპირ. თუმცა შინაც ვერავინ გრძნობს თავს დაცულად. უმძიმესი ვითარებაა რესპუბლიკის სხვა რეგიონებშიც. ეს არაერთგზის აღინიშნა პარლამენტის სხდომებზეც, საქართველოში ომია და ესეც გარკვეულწილად დაღს ასვამს დამნაშავეობასთან ბრძოლას, მაგრამ დამდგარა ჟამი მოქმედებისა...

— საქართველოს პოლიციამ დღეს უკვე უსასტიკესი ბრძოლა გამოუცხადა დამნაშავეთა სამყაროს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ **დავით სალარიძემ**. — ჯერ კარდინალურ ცვლილებებზე, განსაკუთრებულ მიღწევებზე ლაპარაკი ალბათ ზედმეტია, მაგრამ პირველი შედეგები იმედის მომცემია. ორიოდე დღის წინათ რუსთავის საქალაქო განყოფილების და სამინისტროს აპარატის მუშაკებმა დააკავეს ყაჩაღთა 20-კაციანი, საკმაოდ ძლიერი ბანდა, რომელიც ძარცვავდა მგზავრებს, იტაცებდა ავტომანქანებს...

ჩვენი უპირველესი ამოცანაა დედაქალაქში წესრიგის დამყარება, რათა მოქალაქეებს ნორმალური ცხოვრების პირობები შევუქმნათ. ბრძოლა იქნება გადამწყვეტი და შეურიგებელი. საამისოდ პოლიციის საკმაო ძალები ჰყავს. ალბათ თბილისის მოსახლეობა შეამჩნევდა, რომ ამ ბოლო კვირების მანძილზე გაძლიერდა პატრულირება ქუჩებში: დღეისათვის პრაქტიკულად ქალაქში მუშაობს 20-მდე პიკეტი. სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებმა ჩაკეტეს და საიმედოდ დაიცავენ დედაქალაქის შემოსასვლელებს. პატრულირების შედეგად დაკავებულია ცეცხლსასროლი იარაღის მატარებელი 30-ზე მეტი პიროვნება. ნაპოვნია რამდენიმე გატაცებული ავტომანქანა, გაძლიერებულია უნომრო მანქანების კონტროლი და ა. შ. ეს საქმის მხოლოდ დასაწყისია. მთავარია, რომ პატრულირებამ შემდგომში შედეგები მოგვცეს და ურეაგირებოდ არ დარჩეს ცეცხლსასროლი იარაღის მქონეთა გამოვლენის არცერთი ფაქტი. ხშირად ხომ პატრულირების დროს დაკავებული პიროვნებები გვარდიელთა და მხედრიონელთა რიგებიდან არიან, ისინი ეკუთვნიან აგრეთვე მრავალ სხვა შეიარაღებულ ფორმირებებს, ქალაქში მოქმედ ათასნაირ კერძო დეტექტიურ ორგანიზაციებს, სხვადასხვა პარტიათა შეიარაღებულ ჯგუფებს...

— და ასეთ ვითარებაში, ალბათ დადგა დრო ვიფიქროთ კანონის შემოღებაზე, რომელიც უმკაცრესად აკრძალავს იარაღის ტარებას...

— დღემდე პრაქტიკულად ვერა და ვერ მივაღწიეთ ერთიანი კანონის შემოღებას იარაღის თაობაზე. ამიტომაც ყველაზე მნიშვნელოვანი ახლა ჩვენს საქმიანობაში ის არის, რომ ამჟამად პარლამენტის შესაბამის კომისიებთან ერთად ვმუშაობთ ცეცხლსასროლი იარაღის ტარებისა და შენახვის ნებართვის კანონპროექტზე. გვაქვს მისი რამდენიმე ვარიანტი. ყველა მათგანში უმთავრესი იქნება ერთი — იარაღის ტარების უფლება მიეცემათ მხოლოდ და მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სისტემის მუშაკებს. ამ მხრივ საზოგადოებრიობის უდიდესი ნაწილიც ჩვენს მხარესაა და მათი მოთხოვნა კატეგორიულია — ნებისმიერ კერძო პირს, ვინც უნდა იყოს, კანონის ძალით უნდა აეკრძალოს იარაღით სიარული! იმედი გვაქვს, ამ კანონის შემოღება პოლიციის მუშაობას უფრო ნაყოფიერს გახდის.

— რას იტყოდით რესპუბლიკურ ტრასებზე უსაფრთხო მოძრაობის შესახებ?

— ტრასებზე წესრიგის დამყარებაც დღეს ასევე პირველი რიგის ამოცანაა. გარდა იმისა, რომ მათზე რესპუბლიკის ეკონომიკა მჭიდროდაა დამოკიდებული, უბრალოდ, ხალხი ვეღარ მიმოდის, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა მისვლა-მოსვლა, გახშირდა ყაჩაღობა, ტურისტული ავტობუსების ძარცვა, ავტომობილების გატაცება. ამჟამად ვაძლიერებთ საგზაო პოლიციის დანაყოფს, რის შემდეგაც მთელი პასუხისმგებლობა ტრასებზე ვითარებისთვის დაეკისრება შინაგან საქმეთა სამინისტროს, და სხვას არავის. ჩვენ არ გვჭირდება სხვა შეიარაღებული ძალებისა და ფორმირებების მონაწილეობა ამ საქმეში. გზებზე კი ვახორციელებთ ღონისძიებებს, რომ აღდგეს და უსაფრთხო გახდეს მოძრაობა თბილის-სოხუმის მიმართულებით.

— რას გვპირდება უახლოესი მომავალი?

— დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ გამოცხადებული ბრძოლის ტემპს, რომელიც დედაქალაქში ავიღეთ, მალე რესპუბლიკის სხვა რეგიონებშიც გადავიტანთ, კერძოდ, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, სადაც არანაკლებ მძიმე კრიმინოგენული სიტუაციაა. ამ ბრძოლას გარკვეული წინააღმდეგობებიც ახლავს და ეს პირველი რეაქციებიდანაც კარგად ჩანს. მაგალითად, ამ დღეებში ქუთაისში რეიდის დროს მძიმედ დაგვიჭრეს ორი თანამშრომელი. თბილისის მეტროპოლიტენში აგვიფეთქეს ე. წ. „ლიმონკა", რითაც ასევე მძიმედ დაგვიჭრა სამი თანამშრომელი. მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს პოლიცია განწყობილია დაამყაროს წესრიგი. მალე მისი რიგები დამატებითი ძალებითაც შეივსება და, რადაც უნდა დაუჯდეს შინაგან საქმეთა ორგანოებს, დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ — აღკვეთენ ბანდიტთა თარეშს, სიმშვიდეს მოუტანენ მოქალაქეებს.

მოსახლეობას ერთსა ვთხოვთ — თვითონაც დაგვეხმარონ. უცბად, ხვალ-ზეგ შეიძლება წესრიგი ვერ დავამყაროთ, მაგრამ იმედით უნდა შევხედოთ მომავალს. დღეს საქართველოს პოლიციას ძალაც აქვს და უნარიც შესწევს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაებას დამნაშავეთა სამყაროსთან, და რესპუბლიკის მოქალაქეებს დაუბრუნდეს ნორმალური ცხოვრების პირობები.

ესაუბრა
ნინო თათრულაიძე

ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს მომავალი

ეროვნულ ბანკში ხალხმრავლობა იყო

დავით ბიწაძე

საქართველოს ეროვნულ ბანკში ასეთი ხალხმრავლობა იშვიათად თუ ახსოვთ. მოდიან საწარმოო-ორგანიზაციების, ფირმების, ასოციაციების, კოოპერატივების წარმომადგენლები, რიგითი მოქალაქეები მამულიშვილური ვალის მოსახდელად, დაუშურებლად შეაქვთ მოგების თანხები თუ პირადი დანაზოგები ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის ფონდში.

ვესტუმრე ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველოს, სადაც ამჟამად გახურებული მუშაობაა. სამმართველოს უფროსმა გიორგი წიკლაურმა უფროსი ეკონომისტი ქალბატონი მალი აბულაძე გაგვაცნო და გვითხრა ყველა საბუთი მის ხელშია, და ზუსტად მოგართმევთ საჭირო ინფორმაციასო. მალი აბულაძე სახეგაბრწყინებული გვისახელებს საკმაოდ სოლიდურ ციფრებს.

პირველი ანგარიში თვით ეროვნულ ბანკს გაუხსნია, რომელმაც 5 მილიონი მანეთი ჩარიცხა; რესპუბლიკურმა აგრობანკმა 6 მილიონი მანეთი გაიღო საპატიო ფონდისათვის. ფირმა „რეზამ" — 500 ათასი მანეთი, ფირმა „გლობუსმა" — 5 ათასი, საქართველოს ტურიზმისა და სპორტის I ავტობაზის კოლექტივმა 69 ათასი, ასოციაცია „სერვისმა"— 10 ათასი, გეოლოგბანკმა „იმერეთმა" — 1.5 მილიონი, გაერთიანება „საქსპორტლიქიორარაყმა"— 500 ათასი, ფირმა „ნიკომ" — 50 ათასი, ქართულმა საინვესტიციო საზოგადოებამ — 15 ათასი, საქართველოს მრეწველმშენბანკმა — 5 მილიონი, ღვინის ქარხანა „ვარემ" — 100 ათასი, ლითონდამუშავების საწარმომ — 50 ათასი, საზოგადოება „გრემმა" — 15 ათასი, წინდების ფაბრიკა „კრწანისმა" — 300 ათასი, ფირმა „ვეზმა" — 60 ათასი, მცირე საწარმოო ფირმა „მირანდამ" — 15 ათასი, ეგნატე ფიფიას სახელობის საავადმყოფომ — 10 ათასი მანეთი და ა. შ.

ჩვენ შევხვდით ადამიანებს, რომელთაც ფული უკვე ჩაერიცხათ და ხელზე ჰქონდათ ანგარიში. მათ შორის იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ვაჭრობის სამმართველოს უფროსი ვაჟა ბიწაძე, რომლის კოლექტივმა ამ ფონდში უკვე 1,5 მილიონი მანეთი გადარიცხა. — ამ დღეებში ჩვენს ანგარიშზე სოლიდური თანხა ჩაირიცხება, — თქვა მან, — და ჩვენი შემოწირულობა კიდევ ერთი მილიონი მანეთი იქნებაო. საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თბილისის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარი ექიმი მიხეილ ძაძამია კმაყოფილი იყო იმით, რომ მის კოლექტივს 25 ათასი მანეთი შეუგროვებია და ნაღდი ფული ჩაურიცხავს შეიარაღებული ძალების ფონდში.

მოქალაქეთა შემოწირულობის თანხებიც გულდასმით ჩავიწერეთ. ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტებს ნუგზარ შეყილაძეს და შალვა ფიჩხაძეს, ვიცე-პრეზიდენტის მოადგილეს ანზორ ცუცქირიძეს — 10-10 ათასი მანეთი გაუღიათ, თენგიზ გოგუაძეს, გოგი მაზიაშვილს, როლანდ კეკელიას, დავით ჩეჩელაშვილს თითოეულს — 2500 მანეთი, ზურაბ ჭუმბურიძეს — 8 ათასი, ნანული აბულაძეს — 10 ათასი, ძმებს რევაზ და ნოდარ ტრაპაიძეებს — 10 ათასი თითოეულს, ციალა ხაფავას — 30 ათასი, ვაკისა და საბურთალოს რაიონებში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს — 34.400 მანეთი. ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ღრმად მოხუცი პენსიონერის ევგენია კუზნეცოვას საქციელია. როგორც გვითხრეს, ბანკში ძლივს მოსულა და 1000 მანეთი შეუტანია აღნიშნულ ფონდშიო. — მინდა ჩემი მწირი დანაზოგი ჩემს ქვეყანას მოხმარდეს, რომელმაც რუსი ქალი შემიფარა, მეორე სამშობლოდ მექცა. მასთან არის დაკავშირებული ყველაფერი, რაც კი კარგი მახსოვსო.

ჩვენ მხოლოდ ბოლო დღის მონაცემები ვნახეთ და ნაწილი ამოვიწერეთ. ბევრ მოქალაქეს 100 მანეთიც კი აქვს შემოტანილი. ეს კეთილი გულით მიძღვნილი ნობათია, ვისაც როგორ შეუძლია, ისე ეხმარება მშობლიურ ქვეყანას. თუ ყველას გვარები ვერ მოვიხსენიეთ, ეს საგაზეთო ინფორმაციის შეზღუდვითაა მხოლოდ გამოწვეული.

14 დეკემბრისათვის თავდაცვის ფონდისთვის ეროვნულ ბანკში უკვე შემოსული იყო 66.449.154 მანეთი. თუმცა ფულის შემოტანა გრძელდებოდა, მაგრამ რაკი იგი დაანგარიშებული არ იყო, ეს მაჩვენებლები ვერ ავსახეთ.

შალვა ხიდაშელი

რა ხდება?

სიტყვები „პრივატიზაცია" და „ბიზნესი" — ახლად შემოსული და საოცრად გავრცელებული სიტყვებია ჩვენს დღევანდელობაში — პრესა იქნება, თუ ზეპირი მეტყველება. ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინ გამოცემულ ლექსიკონებში არ მოიპოვება „პრივატიზაცია (რაც კერძო საკუთრების აღდგენისაკენ მიმართულ ღონისძიებებს ნიშნავს). ხოლო „ბიზნესის" განმარტებას შერჩენილი აქვს დისკრიმინაციის ელფერი: „კაპიტალისტურ ქვეყნებში საქმიანობა, როგორც პირადი გამდიდრების წყარო".

ამ სიტყვების მნიშვნელობა გასაგებია, მაგრამ მათი გავრცელება მხოლოდ ჩვენი და ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკების ახალი ეკონომიკური, და სოციალური პოლიტიკით არ არის განსაზღვრული. მას გარკვეული ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს.

ბოლშევიზმი 70 წელიწადი ებრძოდა კერძო საკუთრებასაც და პირადი გამდიდრებისაკენ მიმართულ „საქმიანობასაც", ებრძოდა არა მარტო იდეოლოგიურად, არამედ ცეცხლითა და მახვილით, მასობრივი გადასახლებით, სასჯელის უმაღლესი ზომის მეშვეობით. ჩემი თაობის წარმომადგენელთა მეხსიერებას სრული სიცხადით შემორჩა სახლებისა და ფაბრიკა-ქარხნების ექსპროპრიაცია ქალაქებში, „განკულაკება" სოფლად და დახვრეტები, ვისაც კი ბოლშევიკურ სახელმწიფოში ბრალად კაპიტალიზმის რესტავრაციის „ცდები" ედებოდა.

დღევანდელი „ბიზნესი" და „პრივატიზაცია" ერთგვარი ნიღაბია ახალი პოლიტიკური კურსისა, რომელიც მიმართულია იმ სოციალური მოვლენების აღდგენისაკენ, რომლებსაც იგივე ბოლშევიზმი თეორიულადაც და პრაქტიკულადაც „მიწასთან ასწორებდა". ამგვარი შენიღბვა მით უფრო აუცილებელია, რაც უფრო უხეში, დაუფიქრებელი და უკომპრომისო იყო ბრძოლა ამავე მოვლენების წინააღმდეგ.

ეკონომისტები ფიქრობდნენ, რომ ახალი პოლიტიკური კურსის თანმხლებ მოვლენათა შორის, ადგილი ფასების მომატებასაც ექნებოდა, მაგრამ არა მგონია, რომელიმე მათგანს, ან რუსეთში და ან ჩვენში, თუნდაც მათ შორის ყველაზე რადიკალურს და „თავაწყვეტილებს", ჰქონოდათ წარმოდგენა იმაზე — რა მასშტაბებს მიიღებდა ფასების მატება; რომ მაგ., 3-მანეთიანი კარაქის ფასი 700 მანეთამდე აიწევდა; 10-კაპიკიანი კვერცხი 25 მანეთი გახდებოდა და 10-კაპიკიანი ლიტრი ბენზინის შესაძენად საჭირო იქნებოდა 220 მანეთის გადახდა.

ეკონომისტებისათვის მიმინდვია ფასების ამგვარი ზრდის პროცენტებში გამოხატვა. ჩემი, როგორც არასპეციალისტისათვის, ეს პროცენტული გამოხატულება ფანტასტიკურ რიცხვებს აღწევს! და ეჭვი არ მეპარება, რომ კიდევ უფრო გაიზრდება იმ რამდენიმე დღის განმავლობაში, რომელიც მისი გამოქვეყნებისათვისაა საჭირო.

თავის დროზე მხოლოდ ერთმა ესტონელმა ეკონომისტმა გამოთქვა ეჭვი ეკონომიკური გარდაქმნებისა და ახალი ეკონომიკური კურსის გამო და ეს ეჭვი იმ მარტივი მოსაზრებით იყო დასაბუთებული, რომ ბიზნესის აღდგენა და პრივატიზაცია საჭიროებდა შესაფერის, გამოცდილ და პროფესიონალურად სათანადო დონეზე მდგომ საზოგადოებრივ ფენას. ეს ფენა კი, რომელსაც გააჩნდა ამ მიმართულებით მოქმედების ცოდნა, მთლიანად განადგურებული იყო 1917 წლის რევოლუციის პირველივე წლებში.

გასაგები და ბუნებრივი იყო, რომ პრივატიზაცია და ბიზნესი საბჭოთა პირობების ისტორიული გამოცდილების შემდეგ, უდიდეს სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული. ამას ემატება ხალხის ცნობიერებაში ღრმად გამჯდარი და ბოლშევიზმის პირობებში ჩამოყალიბებული უნდობლობა მთავრობისა და მისი ყოველი ახალი ღონისძიებისადმი.

პირველივე ეტაპზე გახდა ნათელი, რომ ხალხს დაკარგული აქვს საკუთრების გრძნობა და მისი „მადლის" რწმენაც. ამითაა გამოწვეული ხშირი გადაცემები ტელევიზიაში — როგორ ასწავლიან (?!) ახალ წესზე აწყობილ ფირმათა ხელმძღვანელებს მეურნეობის წარმოებას, ასწავლიან ეკონომიას, მომჭირნეობას და როგორ ცდილობენ გამოუმუშავონ მათ პრივატიზაციის საფუძველზე შექმნილ მეურნეობათათვის საჭირო თვისებები.

უკანასკნელი დღეების თბილისის ტელეგადაცემებში მაყურებელს შეეძლო ეხილა გაპარტახებული და გავერანებული ვენახები, რომლებიც ცოტა ხნის წინ საბჭოთა მეურნეობას ეკუთვნოდა და, ასე თუ ისე, იქ ნორმალური მუშაობა მიმდინარეობდა...საკმარისი იყო ამ მეურნეობის „პრივატიზაცია" მოეხდინათ, რომ ის მთლიანად გაპარტახებულიყო.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს დეპუტატმა მოახსენა, რომ ჩვენს ერთ-ერთ რაიონში გლეხებს კერძო საკუთრებაში გადაცემული ვენახები გაუკაფავთ, იმ ხმების გავრცელების გამო, რომ მთავრობა ვენახების უკან „წართმევას" აპირებსო. ხმები პროვოკაციული გამოდგა, მაგრამ თვით ფაქტი მაჩვენებელია უნდობლობისა, რომლითაც სოფლის მოსახლეობა დღევანდლამდეა გამსჭვალული მთავრობისადმი.

ერთი სიტყვით, პრივატიზაცია და ბიზნესი ბევრად რთული, ძნელი და მტკივნეული პროცესი აღმოჩნდა, ვიდრე ზომაზე მეტად „გალაღებულ" ეკონომისტებს წარმოედგინათ...

ეს, რა თქმა უნდა, არ იძლევა საბაბს იმისათვის, რომ პრივატიზაციის პროცესი შეჩერდეს, ან საერთოდ გაუქმდეს. საბჭოთა სისტემა, ჩემი აზრით, თუმცა სოციალიზმს არ წარმოადგენდა, მაგრამ სოციალიზმიც რომ ყოფილიყო, ეს მაინც უპერსპექტივო და უტოპიური იქნებოდა და ადრე, თუ გვიან, ცხოვრების კერძო საკუთრებისაკენ დაბრუნება აუცილებელი გახდებოდა. მით უმეტეს, უნდა შეცვლილიყო სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი, რასაც საბჭოთა სისტემა სინამდვილეში წარმოადგენდა და სადაც წარმოების ყოველგვარ საშუალებათა ერთადერთ მფლობელად სახელმწიფო გვევლინებოდა; სადაც ამ საშუალებებზე ტოტალურმა მფლობელობამ მთელი მოსახლეობა ყოველგვარ უფლებებს მოკლებულ მასად აქცია.

ამგვარ პირობებში პრივატიზაციაც და ბიზნესის აღდგენაც დღის წესრიგში დადგა და მათი განხორციელება გარდაუვალ აუცილებლობად იქცა.

მაგრამ — როგორ?

გზა და მეთოდი, რომელიც რუსეთმა აირჩია, თუმცა ჩვეულებრივი და „კანონზომიერია" ამ ქვეყნისათვის, მაგრამ სრულიად არაა აუცილებელი ჩვენი რესპუბლიკისათვის. მას ჰქონდა სრული საფუძველი ამ რთული ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების საკუთარი გზები დაესახა.

რუსეთის განვითარება უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე თავისებური და ისტორიულად განსაზღვრული გზით მიმდინარეობდა. კაცობრიობის მოწინავე ერებთან შედარებით ყოველთვის ჩამორჩენილი და მუდამ „დაწევისა" და ხშირად „გასწრების" იდეის ტყვეობაში მყოფი, ყოველთვის ჩქარობდა და რადიკალურ საშუალებებს მიმართავდა.

კერძო საკუთრების აღდგენისაკენ მიმართული მისი ახლანდელი პოლიტიკა ისეთივე, მეტი რომ არ ითქვას, „პირდაპირობით" ხორციელდება, როგორც თავის დროზე კერძო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული „ღონისძიებები" ხორციელდებოდა. მაგრამ თუ ეს გასაგები და თავისებურად გამართლებულიც იყო იმ ქვეყნის პოლიტიკოსებისათვის, სადაც ბოლშევიზმი ჩაისახა და „ფრთები შეისხა", განსხვავებული უნდა ყოფილიყო ჩვენი რესპუბლიკის პირობებში.

მოხდა ის, რომ კერძო საკუთრება და ბიზნესი — ისეთივე დოგმად იქცა, როგორიც მათ წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ამის გამო, წარმოებისა და ვაჭრობის სახელმწიფოებრივი სექტორი უფრო ადრე მოიშალა, ვიდრე კერძო ბიზნესის, ნამდვილი ბიზნესის და არა ვაჭრუკანების, ტრადიციები დამკვიდრდებოდა და ფეხს მოიმაგრებდა.

ამან მთლად მოშალა ადამიანის სოციალური დაცვის სისტემა და ხალხის უდიდესი ნაწილი ბაზრის ანაბარად აღმოჩნდა მიტოვებული. ხოლო — როგორი ბაზრის, ამას თითოეული ჩვენთაგანი გრძნობს!

მრავალმა ტელემაყურებელმა მოისმინა გადაცემაც ინვალიდებზე, რომლებსაც გადაადგილება მხოლოდ სპეციალური ავტომანქანებით შეუძლიათ. შევახსენებ მკითხველს, რომ მრავალმა მათგანმა შესაფერისი ავტომანქანები უფასოდ მიიღო ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან. და, აი, როდესაც დღევანდელ, განახლებულ საქართველოში — ამ კატეგორიის ინვალიდებისათვის შეღავათიანი ტალონების საკითხი წამოიჭრა ბენზინის შესაძენად, ტელევიზორში კატეგორიული და ერთმნიშვნელოვანი პასუხი გაისმა: ყოველგვარი ტალონები, თურმე, ეწინააღმდეგება პრივატიზაციის პრინციპს!

ამ პრინციპის საფუძველზე ზედმეტი გულმოდგინებით დგომა ხდება მიზეზი ელემენტარული ადამიანური, ჰუმანისტური თანაგრძნობის უგულვებელყოფისა. უფრო მეტიც — ჰუმანიტარული დახმარების ანტიჰუმანიტარული გამოყენებისა. საზღვარგარეთიდან დიდი რაოდენობით შემოსული დახმარება — პროდუქტების, ტანსაცმლის, თუ მედიკამენტების სახით, კერძო ვაჭრების ხელში ხვდება და მამასისხლად იყიდება!

მიუხედავად პურის ფასების მრავალგზისი მომატებისა, ფქვილის საბაზრო ფასები პურის ფასს რამდენჯერმე აღემატება და პურზე რიგები არა მცირდება. რამდენჯერმე დადგა საკითხი პურის ტალონების შემოღებაზე, რაც გარკვეული კონტროლის როლსაც შეასრულებდა, ქალაქიდან პურის გატანასაც შეზღუდავდა და ფქვილის ბაზარზე გატანასაც. მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შეამსუბუქებდა ხალხის მდგომარეობას. ეს საკითხი პარლამენტის მიმდინარე სხდომებზედაც წამოიჭრა, მაგრამ შესაფერისი ღონისძიება „ჯიუტად" არ ტარდება. იქნებ ეკონომისტები ფიქრობენ, რომ პურის ფასებიც ბაზარს და კერძო ბიზნესს მიანდონ — ეს ხომ უფრო შესაფერისი იქნება „თავისუფალი" ვაჭრობისა, ბიზნესისა და პრივატიზაციისათვის!

თითქოს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ გატანჯული და გაბეზრებული ხალხის ფიქრები, სხვა და ძალიან არა სახარბიელო მიმართულებით წარიმართოს.

შემთხვევითი არაა, რომ ამ საკითხებმა რუსეთის საზოგადოებრიობის ყურადღებაც მიიპყრო და რუსეთის დეპუტატების ყრილობაზე (რომელიც მიმდინარე წლის პირველ დეკემბერს გაიხსნა) გაისმა ხმები, როგორც „რეფორმების ზედმეტი ეფექტურობის" წინააღმდეგ, აგრეთვე მისი ზომიერი ფორმების აუცილებლობაზე.

საქართველოში ცხოვრება იმდენად გართულდა, რომ წესრიგის დასამყარებლად ხშირად უმკაცრესი ადმინისტრაციული ზომებია საჭირო. ეს უკვე მეორე სფეროა და ამაზე მსჯელობა სხვა კომპეტენციას მოითხოვს. რაც შეეხება ეკონომიურ რეფორმას, მის ზოგად თავისებურებებს და შესაფერის პოლიტიკას, — შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესის აღდგენა და პრივატიზაციის „ერთი დარტყმით" განხორციელება (თავისთავად ატარებს ბოლშევიკური „სტილის" აშკარა ელფერს. ეკონომიკური რეფორმა თანამიმდევრულობას მოითხოვს.

სახელმწიფო სექტორი ჯერ კიდევ საჭიროა, უფრო მეტიც — აუცილებელია კონტროლის შენარჩუნება და მისგან მხოლოდ გარკვეული დროისა და მიღწეული წარმატების შესაბამისად განთავისუფლება.

ერთ ტელეგადაცემაში, რომელიც საბჭოთა მეურნეობის ვენახების გაპარტახებას ეხებოდა, ყოფილმა დირექტორმა განაცხადა, ჩემი აზრი იყო, ჯერ ნაწილობრივი პრივატიზაცია მოგვეხდინა, ვენახების ნაწილი გადაგვეცა კერძო საკუთრებაში და გვენახა — რა შედეგს გამოიღებდა.

ეჭვი არაა, რომ სოფლის მეურნეობის ამ პრაქტიკოსმა მოღვაწემ უფრო სწორსა და მისაღებ გზას მიაგნო, ვიდრე თეორეტიკოსმა ეკონომისტებმა და განსაკუთრებით მათმა ექსტრემისტულად განწყობილმა ნაწილმა.

ხსენებული საბჭოთა მეურნეობა და რესპუბლიკაში შექმნილი საშინაო მდგომარეობა შემდეგისათვის მაინც უნდა იქცეს გაკვეთილად.

P. S. ეს სტატია დაიწერა 7.XII.1992 წ. როგორც მოსალოდნელი იყო, მისი გამოქვეყნებისათვის საჭირო რამდენიმე დღის მანძილზე, კიდევ უფრო გაიზარდა პირველი მოთხოვნილების პროდუქტების ფასები. მოხდა ისიც, რომ შემოღებულ იქნა ტალონები პურის „რაციონალური" განაწილების მიზნით. არ ვიცი — ვინაა ამ „ღონისძიების" ავტორი, მაგრამ ერთი რამ ნათელია: მას მოჩვენებითი ხასიათი აქვს, ვერანაირად ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს და კიდევ უფრო გააძლიერებს ხალხის ფიქრების „არა სახარბიელო მიმართულებით წარმართვას"!

რას მოგვცემს „სავაჭრო ბარათი"?

პურს ბენზინის სუნი ასდის!

მიმდინარე წლის 11 დეკემბერს გაზეთ „ივერია-ექსპრესში" გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ პურის გატანის შეწყვეტის მიზნით საქართველოს მთავრობას მიუღია გადაწყვეტილება თბილისში სავაჭრო ბარათების შემოღების შესახებ.

გაზეთში სიტყვა-სიტყვით ასე წერია: „ყოველი ოჯახი მიიღებს ასეთ სავაჭრო ბარათს, რომლის საშუალებით ოჯახის თითოეული წევრი შეისყიდის გარკვეული რაოდენობით პურის ნაწარმს. ამ ბარათში აღნიშნული იქნება, თუ რამდენი წევრისაგან შედგება ოჯახი. დედაქალაქის სტუმრებისთვის გამოყოფილი იქნება ორი მაღაზია, სადაც მათ ექნებათ საშუალება, თითოეულ კაცზე შეიძინონ 0,5 კგ პური. იმის გამო, რომ მოსალოდნელია პურზე დიდი რიგები, იყო მიღებული გადაწყვეტილება, რომ ის ოჯახები, რომლებიც ცხოვრობენ ბინების კენტ ნომრებში, კენტ დღეებში შეძლებენ პურის შეძენას მაღაზიებში, ხოლო ლუწ ნომრებში მცხოვრებნი — ლუწ დღეებში".

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინფორმაცია დაწერილია ყურმოკრული ჭორის დონეზე. როგორც ჩანს, რედაქციისთვის მცდარი ინფორმაცია მიუწოდებიათ.

„სავაჭრო ბარათში" არავითარი სულადობა არ იქნება, არც ოჯახის თითოეულ წევრს არ ექნება უფლება შეიძინოს პური (და არა პურის ნაწარმი). დადგენილებით გათვალისწინებულია სავაჭრო ბარათით ერთ სულზე ერთჯერადად გაიცეს არაუმეტეს სამი პურისა. რაც შეეხება კენტ-ლუწ რიცხვებს, ეს პურის ყიდვას კი არ ეხება, იგი გათვალისწინებულია საბინაო-საექსპლუატაციო უბნებში „სავაჭრო ბარათების" მიღებისას რიგების თავიდან ასაცილებლად.

დადგენილებაში არის მეტად საყურადღებო პუნქტი იმის შესახებ, რომ ნავთლუღსა და ცენტრალურ ვოგზალში უნდა გაიხსნას ორი მაღაზია ჩამოსული სტუმრებისთვის, რომლებშიც ერთჯერადად, ერთ კაცზე გაიყიდება ნახევარი კილოგრამი პური კომერციულ ფასებში.

ერთი შეხედვით, აღნიშნული დადგენილება ითვალისწინებს პურით ვაჭრობის მოწესრიგებას და გამომცხვარი პურის რესპუბლიკის ფარგლებიდან გატანის შეწყვეტას, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს, რადგან „სავაჭრო ბარათი" ეხება მარტო თბილისს. ხომ შეიძლება პური შეისყიდონ რუსთავში, გორში, ხაშურში, ქუთაისში და ა. შ.

მეორეც, ბარათი იძლევა საშუალებას რამდენიმე მაღაზიაში შეისყიდო პური, რიგში დადგეს ოჯახის რამდენიმე წევრი და ერთმანეთს გადასცენ ბარათი, შეიძლება მისი განათხოვრებაც. ამასთან, მაღაზიები და პურის საზიდი მანქანები დაიწყებენ სპეკულაციას, არა აქვს ბარათი? გადაიხადე 40-50 მანეთი და შენი იქნება სანუკვარი 30-მანეთიანი პური.

„სავაჭრო ბარათი" გაართულებს იმ ოჯახების მდგომარეობას, რომლებიც პატიოსანი გზით ცდილობენ პურის შესყიდვას. მაგალითად, ოჯახი შედგება რამდენიმე წევრისაგან, ისინი სამსახურში ან სასწავლებელში არიან, პურის აღება შეუძლია მხოლოდ ერთ მათგანს, რომელსაც ხელზე ექნება „სავაჭრო ბარათი", თუ რაიმე მიზეზით მან პური ვერ იყიდა, ოჯახი რჩება უპუროდ.

ყველაზე საშიშად მიმაჩნია ორი მაღაზიის გახსნა, რომლებიც პურს გაყიდიან კომერციულ ფასად. როგორც ვიცით, სტუმრები ზემოთ დასახელებულ ობიექტებს გარდა ჩამოდიან აეროვაგზალში, ავტოვაგზალში და ა. შ. თუ ამ ორი მაღაზიის გახსნას ხელი არ შევუშალეთ, რამდენიმე ხანში ქალაქს და რესპუბლიკას მოეფინება პურის გასაყიდი კომერციული ჯიხურები, მაღაზიები და ყველაფერი დაიღუპება, პურით ვაჭრობა მთლიანად გადავა თაღლითების ხელში, და როგორც ბენზინი გაქრა საქართველოს მოსახლეობისთვის, ასევე დაემართება პურსაც — მცირე ჯგუფის გამდიდრების წყაროდ იქცევა.

დღესაც არავითარი კონტროლი არ ეწევა ხორბლის ფქვილის გაყიდვას, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე — ქუჩებში, გზებზე, მაღაზიებში, კომერციულ ჯიხურებში მამასისხლად იყიდება ფუნთუშა, ლავაში, ხაჭაპური, სხვადასხვა ნამცხვარი. სად ყიდულობენ ისინი ფქვილს, ამოწმებს ამას ვინმე? დიდუბის ავტოსადგურთან ჯიხურში ყოველდღიურად დიდი რაოდენობით იყიდება გამომცხვარი პური გაზრდილ ფასად, იმ მოტივით, რომ ის ეკუთვნის საზოგადოებრივი კვების ობიექტებს და დარიცხვა აქვს. 12 ოქტომბერს ცენტრალური ბაზრის პირველ სართულზე მებუფეტემ ერთ ცალ თონის პურში მომხმარებელს 50 მანეთი გადაახდევინა. ამავე დროს მეტრო „დელისთან" ორი ახალგაზრდა ხორბლის ფქვილს კილოგრამს 110 მანეთად ყიდდა. მინდოდა მეკითხა, რას შვებით, ვინა ხართ, ვინ მოგცათ ნება ხალხი ძარცვოთ-მეთქი, მაგრამ ვერ გავბედე, რადგან არა გვაქვს კანონი, რომელიც მათ პასუხს აგებინებს.

ჯემალ ამირანაშვილი,
თბილისის მერიის საორგანიზაციო განყოფილების წამყვანი სპეციალისტი.

კარიკატურისტის კომენტარი



მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალი და დრო

თავისუფლება წიაღიდან მოდის

ცნობილი ქართველი მწერალი გიორგი პაპუაშვილი ხუთ ათეულ წელზე მეტია ნაყოფიერად მოღვაწეობს სამწერლო ასპარეზზე. მდიდარი, დარბაისლური ქართულით არის გაჯერებული მისი ნაწარმოებები, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდება სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოიცემა წიგნებად. იგი მოთხრობების მრავალი კრებულის, რომანების, აგრეთვე ზღაპრების, კრიტიკული და პუბლიცისტური კრებულების ავტორია.

ცოტა ხნის წინათ მწერალს 80 წელი შეუსრულდა. ამ ფაქტმა გამოიწვია ბატონ გიორგისთან სტუმრობაც. და მკითხველისათვის მისი ნააზრევის გაცნობაც.



— ბატონო გიორგი, ჩემს ხელთაა შარშანდელი „ლიტერატურული საქართველოს“ დეკემბრის (51-ე) ნომერი, რომელშიც თქვენდამი მილოცვაა გამოქვეყნებული. მწერალთა კავშირის გამგეობის ამ მილოცვაში ვკითხულობთ ასეთ სტრიქონებსაც: „თქვენს შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია რომან „შორეულ ციალს“, რომელშიც მხატვრული დამაჯერებლობით ასახეთ მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრება, ქართველი ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ეროვნული თავისთავადობის შესანარჩუნებლად. სულ ახლახან მკითხველმა ამ რომანის მესამე წიგნი მიიღო, რითაც დასრულდა თქვენი მრავალწლიანი შრომა“...

ტირაჟის სიმცირის გამო წიგნზე ყველას არ მიუწვდება ხელი. და გვინდა, ჩვენს მკითხველს მოუთხროთ ამ რომანის შექმნის საჭიროების, იდეისა და მნიშვნელობის შესახებ.

— რომანი-ეპოპეა „შორეული ციალი“, რომელიც სამ წიგნად გამოვიდა, თითქმის ოცი წლის მანძილზე იქმნებოდა. მას საფუძვლად დაედო, როგორც სამამულო, ისე უცხოური წყაროები და აგრეთვე ხალხში არსებული გადმოცემები. საამისოდ შემოვიარე თითქმის მთელი საქართველო და შევეცადე, შემესწავლა იმ კუთხეების ყოფა-ცხოვრება, სადაც რომანის მოქმედება მიმდინარეობდა.

მეფე ერეკლე იმ დიდ მოღვაწეთა რიცხვშია, რომელთა მოქმედების შეფასება დღესაც საჭოჭმანოა. როგორც ჩემი რომანის ბოლოთქმაში ვწერ: „ერეკლე მეორე საქართველოს უკანასკნელი მესაჭე იყო, რომელმაც მთელი შესაძლებლობით სცადა ქვეყნის გამთლიანება და თურქ-სპარსთა ბატონობისაგან საბოლოოდ განთავისუფლება, მაგრამ მიხვდა, რომ დაცრტავებული საქართველოსათვის ამ მიზნის მიღწევა თავგანწირული ბრძოლებითაც შეუძლებელი იყო და გადარჩენის ერთადერთ, შეუცვლელ საშუალებად რუსეთთან სამშვიდობო კავშირი მიიჩნია.

მის ამ ნაბიჯს სხვადასხვაგვარად აფასებენ ქართველები. ერთნი შეცდომად უთვლიან, მეორენი ნაკლებ ბოროტებად მიიჩნევენ სპარსეთთან და თურქეთთან ყმობის დიდ ბოროტებასთან შედარებით, ხოლო მესამეთა აზრით, ერეკლეს ამ ნაბიჯმა უთუო დაღუპვას გადაარჩინა საქართველო. საბოლოოდ კი ორი ურთიერთსაპირისპირო აზრი არსებობს. პირველის მიხედვით, ერეკლემ დაღუპა საქართველო, ხოლო მეორის მიხედვით კი დაღუპვას გადაარჩინა“.

ვინც საქართველოს ისტორია ჯეროვნად იცის და მსოფლიოს ხალხთა ისტორიაშიც საკმაოდ ჩახედულია, ეცოდინება, რომ მეთორმეტე საუკუნისთვის, როცა საქართველოს მოსახლეობა ხუთი მილიონი იყო, ხოლო მისი იმპერია ათ მილიონს აღწევდა, მსოფლიო მხოლოდ ორას სამოცდათხუთმეტ მილიონს ითვლიდა.

რა გამოდის? გამოდის ის, რომ მსოფლიოს მოსახლეობის ყოველი ასი კაციდან ოთხი კაცი ან ქართველი იყო, ანდა ქართველ მეფეს მორჩილებდა. შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა და მეთვრამეტე საუკუნისთვის საქართველოს ხვედრითი წონა დედამიწის მოსახლეობაში ორმოცჯერ შემცირდა. დედამიწის მოსახლეობა ლამის ოთხჯერ გაიზარდა, ხოლო საქართველოს მოსახლეობა თითქმის ათჯერ შემცირდა. ასე რომ, მსოფლიოს ყოველი ორი ათასი მოსახლიდან მხოლოდ ერთი მოსახლე ეკუთვნოდა საქართველოს მეფეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართველი ხალხი ზღვაში წვეთად იქცა.

დიახ, წვეთადქცეული, დაშლილი, სამეფოგაუქმებული და თითქმის არარსებული საქართველო ჩაიბარა მეფე ერეკლემ, მაგრამ მამამის თეიმურაზ მეორესთან ერთად, მაინც მოახერხა კვლავ აღედგინა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და მსოფლიოსათვის დაენახვებინა, რომ ეს ზღვაში წვეთიც კი არავისთვის არ იყო ადვილად ჩასანთქმელი. ამაზე მეტის გაკეთება ადამიანურ გონებასა და ძალ-ღონეს აღემატებოდა და დარწმუნდა, რომ, თუ არა კავშირი ძლიერ ქრისტიანულ ქვეყანასთან, ერის ფიზიკური გადარჩენა შეუძლებელი იყო.

ყოველი ნაბიჯი შედეგით მოწმდება. ისტორიაში ღრმად ჩაუხედავი სპეციალისტები თუ დილეტანტები ერეკლეს ზოგჯერ ახლომხედველ პოლიტიკოსად მიიჩნევენ. მე კი მგონია, რომ ერეკლეზე შორსმხედველი პოლიტიკოსი საქართველოს ბევრი არ ჰყოლია. ამაზეც ფაქტები მეტყველებენ. ყბადაღებული გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ თითქმის ნახევარ მილიონზე ჩამოსული საქართველო, ორ საუკუნეში ხუთ მილიონამდე გამრავლდა და კვლავ გაუტოლდა დავითისა და თამარის საქართველოს. აყვავდა და გაიფურჩქნა მისი კულტურა. ერი კი იმდენად გამხნევდა, გალაღდა, რომ მრავალმილიონიან საბჭოთა იმპერიას შეებრძოლა და თავისუფლება კვლავ აღიდგინა. თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ ერეკლესდროინდელი და თუნდაც მასზე ადრინდელი საქართველო თავისუფალი არ ყოფილა და იგი თურქეთისა და სპარსეთის კაბალაში იყო ორად გახლეჩილი. გეორგიევსკში დადებული ტრაქტატით მაჰმადიანურ სამყაროს ერეკლემ დაანახვა, რომ თავისუფალი ვართ.

სხვათა შორის, 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობა სწორედ რომ ერეკლეს დადებული ტრაქტატის მიხედვით მოიპოვა ჩვენმა ერმა და არა მავანთა გმირობით. დღევანდელი დამოუკიდებლობა კი სწორედ 26 მაისს მოპოვებული გამარჯვებიდან მომდინარეობს. ასე რომ დღევანდელ სასიკეთო საქმეშიც ურევია ერეკლეს ღვაწლი. საბჭოთა კავშირი რომც არ დაშლილიყო, მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოების წინაშე თუ გეორგიევსკის ისტორიულ ტრაქტატს ავაფრიალებდით და წინდახედულად, გონივრულად მოვითხოვდით თავისუფლებას, თანამედროვე მსოფლიო ჩვენს კანონიერ მოთხოვნას ყურად იღებდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის დაუდებლობის შემთხვევაში რუსეთს უთუოდ ძალით უნდა დაეპყრო საქართველო, ერეკლეს შორსმჭვრეტელობა გენიალობამდე მიდის.

შეიძლება, შემოგვედავონ, იტანჯებოდაო საქართველო რუსეთის უღელქვეშ! დიახ, იტანჯებოდა, მაგრამ ვინ აღარ იტანჯებოდა რუსეთის იმპერიაში? განა რუსი ხალხი ჩვენზე უკეთეს დღეში იყო? განა ქართველი ხალხი არ იტანჯებოდა ტრაქტატის დადებამდე? საქართველო მუდმივ ტანჯვაში იყო და დღესაც ტანჯვაშია. ყველა საშინელებას თუ რუსეთთან ურთიერთობას გადავაბრალებთ, გამოდის, რომ ბედნიერ დღეში ყოფილა საქართველო გეორგიევსკის ტრაქტატამდე.

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ცხრა აპრილი თუნდაც არ მომხდარიყო, საქართველო მაინც გათავისუფლდებოდა?

— აუცილებლად. როცა გარდაქმნა ახლად დაიწყო საბჭოთა კავშირში, მიტინგები ჯერ მოგონილიც არ იყო, მუხრან მაჭავარიანს თავის კაბინეტში (მაშინ იგი „საუნჯის“ რედაქტორი იყო) მივულოცე, საუკუნის მიწურულს საქართველო თავისუფალი უნდა იყოს-მეთქი. მუხრანს გაეცინა და მკითხა, რას ეყრდნობი, მაგას რომ მაიმედებო. მე ავუხსენი, რომ ერეკლეს ტრაქტატის მიხედვით თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიო უთუოდ დამოუკიდებლობას მოგვანიჭებს, თუნდაც საბჭოთა კავშირი არ დაიშალოს-მეთქი. მაშინ მას გულუბრყვილობად მოეჩვენა ჩემი ნათქვამი, მაგრამ ხანი რომ გავიდა და მოვლენები თავისუფლების სასარგებლოდ წარიმართა, [illegible] მიაქცია ყურადღება ჩემს ნათქვამს. სხვათა შორის, 1988 წელს ჩვენი რესპუბლიკის იმდროინდელ ხელმძღვანელს, ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს ჩემი რომანი „შორეული ციალის“ პირველი და მეორე წიგნი გავუგზავნე წარწერით: „დაე, თქვენი ხელმძღვანელობით გათავისუფლებულიყოს საქართველო“-მეთქი. არ ვიცი, ეს წიგნები ადრესატამდე მივიდა თუ არა, მაგრამ ვისაც გავატანე, მას ეხსომება, რაკილა მაშინვე წაიკითხა ეს წარწერა. არ გეგონოთ ჩემი ეს მოქმედება მაამებლობით იყო განპირობებული. არა, აშკარად იგრძნობოდა, რომ საქართველო თავისუფლებისაკენ მიდიოდა და ამ გზაზე ჯუმბერ პატიაშვილის თავკაცობა ზედმეტად არ მიმაჩნდა. ვფიქრობ, სხვებმა ეს პროცესი ჩემზე კარგად შენიშნეს და მოვლენები დააჩქარეს. რათა ძალაუფლება ჩაეგდოთ ხელში. არ იფიქროთ, ცხრა აპრილის სისხლისღვრა რომ არ მომხდარიყო, თავს ვერ გავითავისუფლებდით. ცხრა აპრილმა მხოლოდ სისხლი დაღვარა და ჭეშმარიტ საზოგადოებას თავზარი დასცა, გონება აურია და საქართველო ორად გაჰყო.

თავისუფლება უსისხლოდ უნდა მოსულიყო, გონივრულად თუ ვიმოქმედებდით და არა ერთურთის ხოცვით. სხვათა შორის, დღევანდელი ხოცვა-ჟლეტა და ურთიერთდაპირისპირება ცხრა აპრილის ანარეკლია. ხალხმა პირველად აქ დაინახა სისხლი, გაიგემა, თავი აიშვა და დაუნდობელი გახდა. ვის აწყობდა ეს? ერთეულ ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლებისკენ მიისწრაფვოდნენ. აკი მიაღწიეს კიდეც სანუკვარ მიზანს, მაგრამ შედეგად რა მივიღეთ, ამასაც ვხედავთ.

როცა ცხრა აპრილის ტრაგედიით თავზარდაცემული მწერალთა სასახლეში მივედი, მუხრანს ვუსაყვედურე (მაშინ უკვე მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე იყო), თუ ცხრა აპრილის ღამეს მთავრობის სასახლესთან იყავი, რატომ ზვიად გამსახურდია არ გააფრთხილე, როგორც კი ტანკები გამოჩნდნენ, მიტინგი დაეშალა-მეთქი — და გულისწყრომით მიპასუხა: ვეხვეწე, მაგრამ ვერ დავითანხმეო: ამ საქმეს ეროვნული ხსნის კომიტეტი ხელმძღვანელობს და ჩემი ბრძანება უძლურიაო. არ ვიცი, მართლა ასე იყო თუ სხვანაირად, მაგრამ ხანი რომ გავიდა და ხოცვა-ჟლეტა კვლავ გაგრძელდა, ეს ფაქტია და ვერავინ უარყოფს.

შეიძლება გადაჭარბებულად გეჩვენოთ, მაგრამ, ვიმეორებ, ცხრა აპრილს გაიხლიჩა ჩვენი საქართველო, რომლის ნაპრალი თანდათან ღრმავდება და დღემდე მიგვიყვანა. თუ იტყვით, არჩევნების დროს ერთსულოვნება იყოო, ეს მხოლოდ ბრმა ინერციის შედეგი იყო. თავისუფლებას მოწყურებული ხალხი ყველა დათმობაზე წავიდა, ოღონდაც კომუნისტური რეჟიმი დაემხოთ.

— რა იდეა უდევს საფუძვლად თქვენს რომანს?

— რომანის იდეა საქართველოს მთლიანობაა, ერეკლეს ახალგაზრდობისდროინდელი საქართველო დაქუცმაცებული იყო არათუ კუთხეებად და სამთავროებად, — სათავადოებად და სამოურავოებად. კუთხური პარტიკულარიზმი ღრღნიდა საქართველოს. საუკუნეების მანძილზე სპარსთა და თურქთა მონობაში ხალხი იმდენად იყო დაბეჩავებული, თავისი და სხვისი ვეღარ გაეგო. იმის ნაცვლად, რომ სიხარულით შეხვედროდნენ თეიმურაზ-ერეკლეს განზრახვას, რაც ქართლის განთავისუფლებას ითვალისწინებდა, წინააღმდეგობასაც კი მიმართავდნენ. ეს, რა თქმა უნდა, ერის იმ ნაწილს შეეხება, რომელსაც განსჯა ეზარება, არც გააზრებული საუბრის გულდასმით მოსმენა უყვარს და ყურმოკრულის გამეორება უფრო ემარჯვება, ვიდრე მსჯელობა. სამწუხაროდ, ასეთი ხალხი დღესაც ბევრია და ამიტომ არის ქვეყანაში გაუგებრობა. ერეკლეს დიდი ოფლისღვრა სჭირდებოდა, ერისთვის რომ თვალი აეხილა და კუთხური დაპირისპირება როგორმე შეენელებინა.

სამწუხაროდ, ეს უბედურება ჩავლილი არ ყოფილა და დღესაც ახერხებენ მის გაღვივებას კუთხე კუთხეს სურთ დაუპირისპირონ და დასავლეთი — აღმოსავლეთს. ხმის ჩახლეჩამდე რომ ვიძახით, ქართველებს გაუმარჯოსო, თუ ერმა თვითონ არ შეიგნო თავისი მთლიანობა, ვერას გავხდებით. მსჯელობა უნდა ისწავლოს ერმა და საღ აზრს მიენდოს. იმ აზრს, რომელიც ერს ამთლიანებს და არა — პირიქით. ერის გამთლიანება მის გადარჩენას მოასწავებს და დაშლა კი — მოსპობას.

— ბატონო გიორგი, სოფელში გაზრდილი კაცი ბრძანდებით, თქვენი მოთხრობების თემატიკა ძირითადად სოფელია და, რამდენადაც ვიცი, არც დღეს გაგიწყვეტიათ სოფელთან კავშირი. თვითონ ვყოფილვარ თქვენს მამულში და მინახავს როგორ მუშაობთ. მიწის პრივატიზაციაზე რას იტყვით?

— დიახ, მთელი ჩემი არსებით სოფელთანა ვარ დაკავშირებული. რაც უნდა დაუჯერებლად გეჩვენოთ, ჯერ კიდევ ექვსი წლისამ დავიწყე მუშაობა, როცა მამა დამიპატიმრეს და ოჯახი უმწეოდ დარჩა. სოფელთან კავშირი არასოდეს გამიწყვეტია და დღესაც კვირაში სამ დღეს მაინც სოფელში ვარ.

მიწის პრივატიზაცია დიდი მოვლენაა გლეხის ცხოვრებაში. იგი წარმატებით განხორციელდება კიდეც, მაგრამ მისი დაჩქარება საქმეს არ მოგვიტანს. ამბობენ, ხალხი უარს ამბობსო თავისი მარჩენალი მიწის დაბრუნებაზე. ტელევიზიით ისეთი ფაქტებიც ვნახე, სოფლის მეურნეს რომ ხარების ყოლას და მიწის პირველყოფილი წესით დამუშავებას უკიჟინებდნენ. ეს მხოლოდ გულუბრყვილობაა. გლეხმა კარგად იცის, რასაც ამბობს და ჩვენ ვერ ვასწავლით. ძველი გზა რომ აღვადგინოთ და ხარებს მივენდოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ რასაც მოსავალს მოვიყვანთ, პირუტყვს შევაჭმევთ და ჩვენ ისევ მშივრები დავრჩეთ. ჩვენი წინაპრები როგორ ამუშავებდნენო? ჩვენი წინაპრები იმ მიწის მხოლოდ მეოთხედს ამუშავებდნენ, რასაც დღეს ვამუშავებთ და დანარჩენს სათიბ-საძოვრად იყენებდნენ.

მაშ როგორ მოვიქცეთ, მექანიზაციის გარეშე არაფერი გამოვა. არც მგონია, რომ რომელიმე განვითარებული ქვეყანა ცოცხალი გამწევი ძალის იმედად არსებობდეს. საერთოდ, ადვილად გვჩვევია არსებულის უარყოფა და ახლის შექმნის უნარს კი დროულად ვერ ვიჩენთ. იყო დრო, როცა ჰაიჰარად დავშალეთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, რითაც გავანადგურეთ და წელი მოვწყვიტეთ სოფლის მეურნეობას. კარგად აწყობილი ერთი მანქანა-ტრაქტორთა სადგური მთელ რაიონს ემსახურებოდა, კოლმეურნეობებისათვის გადაცემული ტექნიკა კი ხშირად გამოუყენებლად იჟანგებოდა და ლპებოდა ღია ცის ქვეშ. მაშინ კი არა, ახლაც რომ არსებობდეს ყოფილი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, ძალიან წაადგებოდა ინდივიდუალური სოფლის მეურნეობის განვითარებას. გლეხი მაშინ უარს არ იტყოდა მიწის დასაკუთრებაზე. მას მხოლოდ მიწის ძირითადი სამუშაო — მოხვნა, კულტივაცია და დათესვა აშინებს, დანარჩენი კი, რაც მის მარჯვენაზეა დამოკიდებული, არ გაუძნელდება. ძველს როცა ვანგრევთ, იმ ძველში, რაც გონივრულია, ხელუხლებლად უნდა დავტოვოთ, სტალინის მოგონილი იქნება ეს, ნიკოლოზისა თუ ნიუტონისა. იყო დრო, ვანგრევდით, დადგა დრო, ისევ ვანგრევთ, მშრომელ ადამიანს კი მხოლოდ შენება უყვარს და ნგრევაში ხელს არ შეგვიწყობს. პრიმიტიული წესების აღდგენა შორს ვერ წაგვიყვანს. არსად არ მიგვეჩქარება. ათჯერ გავზომოთ და ერთხელ გადავჭრათ. გადავჭრათ სწორედ იმ ადგილას, სადაც საჭიროა. წინააღმდეგ შემთხვევაში კვანძი დაეტყობა და მისი გასუფთავება გაგვიძნელდება.

ესაუბრა
რუსუდან მუხიგულაშვილი.

სათქმელი უნდა ითქვას

მწამს, მჯერა!

სანდრო მამასახლისი

თბილისი ტრაგიკულ მეგალოპოლისს დაემსგავსა...

სადღაა თავაზიანი და ალერსიანი თბილისი, კოპწია, ყოველთვის მოვლილი სუფთა ქუჩებით, თვალუწუნა ყვავილნარებით, როცა ერთმანეთს ყველანი ვიცნობდით, ერთმანეთს გვერიდებოდა და ამ მორიდებას დარდიმანდული, ფაქიზი ქცევით ვავლენდით... წალეკა ყოველივე უზრდელობამ, თავხედობამ, უტიფრობამ... ახლა თბილისში ცხვირ-პირიც რომ დაგინაყონ, არავინ გამოგესარჩლება, ან წლების მანძილზე ნაზარდი ფიჭვის ხეივანი სულ ერთიანად რომ გაჩეხონ, არავის შეაშფოთებს...

თბილისელი ქართველობა მოსახლეობად იქცა, ხოლო ქალაქი — ჰექტარობით გაზომილ სივრცედ, გაქრა მისი ჯადო და ანდამატი..., არქიტექტურულმა აპოკალიფსმა გაგუდა თბილისი. საბურთალო, გლდანი, მუხიანი, დიღომი მარად ლტოლვილთა რეზერვაციას უფრო ჰგავს, ვიდრე 1500 წლის ქალაქის ნაწილს...

სოფლელებმა საუკუნეების განმავლობაში დანაგროვი ეროვნული ზნეობის თვალ-მარგალიტი ქალაქის ჭიშკართან ჩამოიბერტყეს, მაგრამ ქალაქში თანაცხოვრების მკაცრი წესების ცოდნა არ მოისურვეს... და დარჩნენ ისეთ ქართველებად, რომლებსაც აღარც მრავალშვილიანობის მადლი და ბედნიერება სწამთ, აღარც შრომა და აღარც სხვისთვის ანგარიშის გაწევა. ყველაზე ეს, ალბათ არ ითქმის, მაგრამ ვაი, რომ მხოლოდ გვარით ქართველი კაცი ცოტა არ მეგულება.

სოფლიდან ჩამოსული, როგორც წესი, გაურბის შავ, მძიმე სამუშაოს. ასეთი რომ ხდომნოდა, პაპისეულ კუთხეს განა მიატოვებდა? არადა, ტროლეიბუსი, ტელეფონი, სუფთა ქუჩები, კაფე-რესტორნები მას ისევე სჭირდება, როგორც სხვას... ამიტომ ქართველებთან ერთად იგივე ოდენობით (მეტი თუ არა!) თბილისში მკვიდრად სახლდებიან ისინი, ვინც შრომას არ თაკილობს, ვინც ქუჩებს გვის, ბუნკერებს წმინდს, ფეხსაცმელს კერავს, ასფალტს ფენს, სახლებს აშენებს, ჩვენებური მიგრანტებისგან განსხვავებით, მრავალშვილიანდება, ფუძეს იმაგრებს...

...გავა დრო და ისევე, როგორც შიდა ქართლსა და გარუსებულ აფხაზეთში მოხდა, ერთ მშვენიერ დღეს თბილისშიაც გვკითხავენ: გვაპატიეთ, მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებითო...

უკვე შვიდი წელიწადია, რაც საბჭოთა კავშირის ნგრევა დაიწყო და „უფროსმა ძმამ“, მისი ბუნებიდან გამომდინარე, სასიცოცხლო არტერიები გადაგვიკეტა. თითქოს საკმაო დრო გვქონდა საკუთარ თავზე გვეფიქრა, რამე გვეღონა და თითიც არ გაგვინძრევია. ვერც ბიუროკრატია და მასთან ერთად მექრთამეობა ავლაგმეთ, კვლავ საზღვარგარეთს გავყურებთ, შემწეობას სხვისგან მოველით...

განა სამარცხვინო არ არის, საქართველოში ქართველი გლეხი კაცი პურის რიგში იდგეს?

ქართულ ვაზთან, ფუტკართან, ხილთან ერთად ჩვენებური ხორბალი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ხორბლის ჯიშების გამოყვანაზე საუკუნეები დავხარჯეთ. ჩვენებური პური თავისი გემოთი, თვისებების დიდხანს შენარჩუნებით, ნოყიერებით უნიკალურია. მაშ, რა ხდება, რატომ არ ვიყენებთ წინაპართა მონაპოვარს — ქართული ხორბლის ჯიშებს, რომელთა მოსავლიანობა ამერიკელ ფერმერებსაც კი შეშურდებოდათ?

ამას წინათ ქართლის ერთ სოფელში ორი პურის მაღაზია ვნახე. იქაც იდგნენ და პურის მომტან მანქანას ელოდნენ, იდგნენ და უხერხულობას არ გრძნობდნენ...

სიცილიც რაღაც სხვანაირი გაქვს — ხმამაღალი, დაურიდებელი, ნერვული. ყოველი მეორე სიტყვა — ბინძური, მყრალი... მშობელს ურჯულოც კი არ აგინებს, შენ — ჯიშით, გვარით ქართველი ყველას გასაგონად გაიძახი — ჩემი დედა, ჩემი დედის...

სამშობლო ომის ხანძარშია. შენს გაყინულ გონებაში კი ისეთი სიცივეა, თითქოს მოკვდი, აღარა ხარ... შენს ჩაბნელებულ თვალსაწიერში მხოლოდ ბოროტი ლანდები და ურჩხულები დაბორიალობენ, ყველგან და ყველასგან გამორჩენას მოელი... შეგწევს უნარი საკუთარ მამას ხელი შეუბრუნო, დედას დედა აგინო, უმწეო, ფეხმოტეხილი ძაღლი ჩაწიხლო. როცა მთვრალი შინ ბრუნდები, ღამეულ ქუჩაში მხეცივით ბღავი, ხანაგვე ურნებს აყირავებ, ან შუა ქუჩაში დადგები და იგინები, იგინები...

კარგად იცი, რომ გარეთ არავინ გამოვა და არ გაგაჩერებს, ყველა თავ-თავის სოროდან გიმზერს და უხმოდ გიბრაზდება. მექრთამეთა ქვეყანაში კანონი ფულის მონაა, ამიტომ ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს. მამაშენს სძულხარ, მაგრამ იმდენი დაგახარჯა, რომ საბოლოოდ გასაწირად ენანები. შენზე როდი წუხს, დარდობს იმ ასიგნაციებზე, რომლებიც ჯერ სკოლაში დაგახარჯა, მერე — უმაღლესში, სამხედრო კომისარიატში, მილიციაში, პროკურატურაში... ეს ფული რომ არა, შენ რა ხანია ციხეში ამოყოფდი თავს და, წარმოიდგინე გადარჩენის შანსი გაგიჩნდებოდა. იქაურები გალაღების შესაძლებლობას არ მოგცემდნენ, ერთი-ორჯერ ცხვირ-პირს დაგითეთქავდნენ, გასწავლიდნენ სხვის პატივისცემას, ლუკმა-პურის გაყოფას, უფროს-უმცროსობას...

ახლა გეღიმება, გამხიარულებს შენი თანატოლები თავგანწირვით აფხაზეთში რომ იბრძვიან. ბედშავსა და საწყალს, არც კი გესმის, რა ფსკერზე აღმოჩნდი — მტრის ტყვიაც რომ არა გცემს პატივს...

...ჩვიდმეტი წლის იყავი, ჩემი სტუდენტი რომ გახდი, შემეძლო დაგხმარებოდი, შენი აფორიაქებული სული დამეწყნარებინა, კაცური ცხოვრების გზაზე დამეყენებინე, შენს მიმქრალ თვალებში სიკეთის ნათელი დამენთო, გადამერჩინე... მე კი, კურსიდან კურსზე რეგვენსა და თაღლითს დადებით ნიშნებს გიწერდი და ამით შთამბეჭდავად გარწმუნებდი შენი ზნეობის სისწორეში...

ოჯახთან, სახელმწიფოსთან ერთად შენს წინაშე, როგორც აღმზრდელს, ვიცი, ბრალი მეც მიმიძღვის, მეც ვიმსახურებ იმ რისხვას, რომლითაც ეს სტრიქონები დავწერე...

...რა ვქნათ, დავრჩეთ, როგორცა ვართ, თუ ერთმანეთის შენდობაზე ვიფიქროთ...

მე ჩემს დანაშაულს მგონი მივხვდი, შენ?“

გეკითხებით. რა ზრდილობა იქნებოდა, ვინმე წესიერი კაცის პირადი ცხოვრება ფარული კამერით გადამეღო და სახეიროდ გამეხადა? იტყვით — გიჟიაო ეს კაციო... მაგრამ განა უარესს არ ჩავდივართ, სახელმწიფოს ინტიმურ ცხოვრებას — პარლამენტის მუშაობას, ასე დაურიდებლად რომ ვაშიშვლებთ? რატომ ვერ ვხვდებით, — ახალბედა პარლამენტის პირდაპირი ტელეტრანსლიაცია მარტოოდენ ზოგიერთი დეპუტატის პოლიტიკური უმწიფრობისა და ჩვენი არეული ცხოვრების მაზოხისტური თვითგვემაა და ხალხის ცნობიერების გაფართოების მიზნებთან მას საერთო არაფერი აქვს. მეტიც — ჩვენი „ენაწყლიანობის“ გამო მტერი, ყოველგვარი საგანგებო დაზვერვის გარეშე, მისთვის უძვირფასეს ინფორმაციას იღებს.

ინგლისში, კონსტიტუციისა და დემოკრატიის ციტადელში, პარლამენტის მუშაობის დროს ტელეჟურნალისტი ცხვირსაც ვერ შეჰყოფს... და თუ მაინცდამაინც გადაწყვეტენ ტელეტრანსლიაცია მოაწყონ, ამისათვის საგანგებოდ ემზადებიან, ფუნქციებს ინაწილებენ, წარმოიდგინეთ, რეპეტიციებსაც გადიან და პოლიტიკურ შოუს მართავენ...

ვთქვათ, პინგ-პონგის გუნდი თუ შეჯიბრში დამარცხდა და ამით პირველი ადგილის მოპოვების შესაძლებლობა დაკარგა, სახელი არ ასცდება, განსაკუთრებით მწვრთნელს დაატყდება რისხვა... ისე კაცმა რომ თქვას, რა მოხდა, — წლეულს დამარცხდა, გაისად გაიმარჯვებს, ეს არის და ეს. ყოველ შემთხვევაში სპორტული გუნდის დამარცხებით ქვეყანა ჯერ არ დაქცეულა, და მაინც. დამარცხებულებს თავზე ხელს არავინ გადაუსვამს...

...მტერმა საქართველოს მიწა-წყალი დაიპყრო, გაგრაში კატასტროფულად დავმარცხდით და ამის გამო არავის (!) დღემდე ბეწვიც კი არ ჩამოვარდნია... პინგ-პონგის გუნდის დამარცხება თავისი შედეგით როგორ შევადარო ეროვნულ ტრაგედიას?! მაშ, სად არის ჩვენი რეაქცია?! ნუთუ ხეირიანულ დანაშაულისადმი შემგუებლური დამოკიდებულება სისხლ-ხორცში გაგვიჯდა და მტარვალის ნაჯახით სამშობლოს ჩეხვა აღარც გვტკივა? ნუთუ შევძელით — ღირსებას დამცირება, სიკეთეს ბოროტება შევაგუეთ? ყველა უბედურების სათავე ეს ხომ არ არის?

ვუსმენ ტელეეკრანზე გამოსახულ გიტარიან ბიჭებს და დაბერებული ხალხის ნაპრალებში ცრემლი ნაკადულივით ჩამომდის... „საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არის?..“

ვიგონებ წარსულს, გულს მიწვავს აწმყო, მადარდებს მომავალი. ასე მგონია, ხაფანგში მოვექეცით... მიგვატოვეს ხახიანის, შამქორის, დიდგორის, კრწანისის გმირებმა...

ბიჭები კი მღერიან ივლისზე, თბილისზე, მღერიან ოთხ ძმაზე, ნატიფად, გრძნობით...

მგონიათ, რახან მაფიამ იმძლავრა, ქართველები ერთმანეთს წაგვკიდა, რუსეთთან ურთიერთობა გაგვირთულდა (ნეტავ ძმობა როდის გვქონია?!) ყველაზე ხელსაყრელი დრო დაუდგათ... გათვალეს, ყველაფერი გაიანგარიშეს და დაგვარტყეს...

...უკვე მესამე სიმღერას მღერიან, ან რატომ არ უნდა იმღერონ, ნუთუ ისიც სანატრელი უნდა გაგვიხდეს?

...ნათელი წარსული საზარელი აწმყოსგან უნდა ვიხსნათ, მტარვალს არ მოვასპობინოთ რუსთველი და ილია, „მერანი“ და იყალთო, ნიკორწმინდა და მომავლის რწმენა...

...იმღერეთ ბიჭებო, ახმიანეთ სიმები...

ისე კი, კაცმა რომ თქვას, თქვენ ჯან-ღონით სავსე მკლავებს ავტომატი უფრო მოუხდებოდა.

...ვიცი, მოვა, მოვა ნაზი სიმღერების დრო, მაგრამ რა ვქნა, სულ ახლა „შავლეგო“ და თქვენი ავტომატების ზათქი ურჩევნია...

დავდივარ თბილისში, ვაკვირდები ბრბოს, ახოვან ვაჟკაცებს და მიკვირს — როგორ ითმენენ, როგორ უძლებენ მშობლიური მიწა-წყლისა და საკუთარი სისხლის ყიდვას, ლტოლვილი ბავშვების ცრემლებს...

ან ამ მწუხარებისას, როგორ ბედავენ ქეიფს, ან ამ „ქეიფზე“ საქართველოს სადღეგრძელო რა პირიდან ამოსდით...

ან თავიანთ შვილებს ყველაზე მთავარ შეკითხვაზე — სამამულო ომის დროს შენ რას აკეთებდიო? — ნეტავ რას უპასუხებენ, ნუთუ იცრუებენ...

ან ჯიშით, გვარით ქართველს ბუნება ასერიგად ვინ შეუცვალა,

(დასასრული მე-4 გვ.).

ამ ტრიალ ქვეყანაზე

კონსულტაციები დაიწყო

რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარედ დამტკიცებულმა ვიქტორ ჩერნომირდინმა დაიწყო კონსულტაციები ახალი მთავრობის შესადგენად. მან ეგორ გაიდარის მთავრობის ყველა წევრს მიმართა თხოვნით არ გადადგნენ. ყრილობაზე გამოსვლისას თქვა, რომ გააღრმავებს გაიდარის ეკონომიკურ რეფორმებს, ოღონდ ისე, რომ ამას არ მოჰყვეს ხალხის გაღატაკება. მთავრობის პირველმა ვიცე-პრემიერმა შუმეიკომ უკვე განაცხადა ახალ მთავრობაში დარჩენის თანხმობა. ეგორ გაიდარმა ჟურნალისტების შეკითხვაზე უპასუხა, რომ არ აპირებს მთავრობაში დარჩენას, ვინაიდან არ სურს ხელი შეუშალოს ახალ პრემიერ-მინისტრს, მან მოუწოდა თავისი მთავრობის წევრებს დარჩნენ მთავრობის შემადგენლობაში. როგორც რუსეთის პრეზიდენტის პოლიტიკურმა მრჩეველმა სტანკევიჩმა განაცხადა, იმედი აქვს, რომ გაიდარი დაიკავებს პრეზიდენტის მთავარი ეკონომიკური მრჩევლის თანამდებობას. საგულისხმოა, რომ ჩერნომირდინის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა და სამოქალაქო კავშირის ხელმძღვანელობამ.

თანამშრომლობა კონვერსიის დარგში

ტოკიოში ჩასულმა რუსეთის წარმომადგენლობითმა დელეგაციამ ჩაიტანა 80-ზე მეტი პროექტის სამოქალაქო პროდუქციის წარმოებაზე რუსეთის თავდაცვითი ქარხნების გადაყვანის დარგში, რომელთა რეალიზაციაში მონაწილეობა შეუძლიათ იაპონიის ფირმებს. დელეგაციას მეთაურობს რუსეთის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტი არკადი ვოლსკი, რომელიც ამასთანავე რუსეთ-იაპონიის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტის რუსეთის ნაწილის თავმჯდომარეა.

სესხს აძლევენ ღარიბეს ქვეყნებს

ვაშინგტონში მსოფლიო ბანკმა გამოაცხადა, რომ მომდევნო სამი წლის მანძილზე 22 მილიარდი დოლარის სესხს მისცემს მსოფლიოს ღარიბეს ქვეყნებს. 34 დონორი ქვეყანა შეთანხმდა ბერნში (შვეიცარია) გამოყოს ამ მიზნებისთვის 18 მილიარდი დოლარი 1993 წლის 1 ივლისიდან. კიდევ 4 მილიარდი დოლარი ასიგნებული იქნება ვაშინგტონში დაბინავებული საერთაშორისო განვითარების ასოციაციის სახსრებიდან, რომელიც მსოფლიო ბანკთან არის შეერთებული.

თითო აბზაცით

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა იცხაკ რაბინმა განაცხადა, რომ ისრაელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყოფილი საბჭოთა კავშირის მუსლიმანურ რესპუბლიკებთან, განსაკუთრებით ყაზახეთთან ურთიერთობას, რაც მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია ამ რესპუბლიკებში ირანის ზეგავლენით ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების შიშთან.

მოსკოვში მუშაობა განაახლა რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს მეხუთე სესიამ, პალატების ერთობლივ პლენარულ სხდომაზე დეპუტატები განიხილავენ 1993 წლის ბიუჯეტის პრეზიდენტის წარდგენილ პროექტს და სხვა კანონპროექტებს.

2010 წლისათვის ტოკიოსა და მის ახლომდებარე რაიონებში თავს მოიყრის იაპონიის მოსახლეობის 30 პროცენტი, ანუ 40 მილიონი კაცი. მთელი მოსახლეობა 130,4 მილიონს შეადგენს, ესე იგი 6,7 მილიონით მეტი იქნება, ვიდრე 1990 წელს. 65 წელზე მეტი ხნის პირთა წილი 2010 წლისათვის გაიზრდება [illegible] პროცენტამდე, წლეულს ისინი დაახლოებით მეხუთედს შეადგენენ.

კონკურსი შეჯამდა... ორ-ნახევარი წლის შემდეგ

გურამ ვაშაკიძე

აბა, რას წარმოიდგენდა ჟიური, რომ კონკურსის გამოცხადებიდან მისი შედეგების შეჯამებამდე საქართველოში ისეთი პოლიტიკური ვნებათაღელვის ქარიშხალი გადაივლიდა, რომ მწერალ-პოეტთა გაჯიბრება კი არა, ერის მამები ეჭიბრებოდნენ ერთმანეთს, ვინ უფრო გადაჩეხავდა ხრამში გახლეჩილ, დაბეჩავებულ ქვეყანას.

ადგილობრივი მმართველობის 1990 წლის 4 მაისის განკარგულებიდან: „ჩატარდეს ლიტერატურული კონკურსი, მიძღვნილი გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოში ეროვნული განმანთავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 150-ე წლისთავისადმი“, — აღნიშნულია საკონკურსო თანხის ოდენობაც — 6000 მანეთი.

იმხანად ხელისუფლებაში მოსული ეროვნული მოძრაობის ადგილობრივ ლიდერებს, ეტყობათ, ეცოტავათ იაკობის ღვაწლი ქართულ ეროვნულ საგანმანათლებლო მოძრაობაში და ისე აღმოჩნდნენ „თამაშგარე მდგომარეობაში“, აღარც კონკურსი გახსენებიათ, აღარც დედა-ენის ავტორი.

მხოლოდ ამ დღეებში, გამოცხადებიდან ორ-ნახევარი წლის შემდეგ, მოხერხდა კონკურსის „დაპურება“. ქალაქ გორისა და გორის რაიონის გამგეობამ საამისოდ საჭირო თანხები გამოჰყო და საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილებაში იაკობ გოგებაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კონკურსის შედეგებიც შეჯამდა.

პოეზიის განხრით პირველი პრემია მიეკუთვნა პოეტ ანზორ აბულაშვილს (თბილისი) ლექსისათვის „დღევანდელი ძნელბედობის ჟამს იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენის“ კითხვა-ფურცვლისას ნათქვამი“.

გამარჯვებულთა შორის არიან აგრეთვე პოეტები გორელი ლელა სამნიაშვილი და ახალციხელი შალვა მოსეშვილი.

პროზაში, გორელ ზაზა ინჯიას რომანმა „ეული ტრიტონის სიმღერამ“ პირველი პრემია მოიპოვა. მეორე პრემია წილად ხვდა ასევე გორელ ზაურ წაქაძეს — მოთხრობებისათვის, ხოლო გიული მარტიაშვილის „დაუპატიჟებელი სტუმარი“ მესამე პრემიით აღინიშნა.

დრამატურგიაში პირველი პრემია დაიმსახურა რაფიელ მამულაშვილის (თბილისი) პიესამ „რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი გლეხკაცის ცხოვრებიდან“. ჟიურიმ მეორე პრემია მიაკუთვნა გორელ მიხეილ შაფთოშვილს პიესისათვის „სიმღერა დედისა“. გამარჯვებულთა შორისაა აგრეთვე თბილისელი ქიშვარდ მარიამიძის „ქოჩორა“. წამახალისებელი პრემიით აღინიშნა გორელი ვაჟა დადიანიძის პიესა „ზღარბი“.

მცირე შეფასება

უკვდავი ფესვები

ლექსმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ

აპოლონ ცანავა

ასე ეწოდება პროფესორ აპოლონ სილაგაძის წიგნს, რომელიც გამოუშვა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. ამ ძალზე საყურადღებო ნაშრომში მთავარი პრობლემა ქართული ლექსის მასალების მიხედვით არის განხილული. ამიტომ საგანგებო ყურადღება ეთმობა ქართველურ ტომთა ხალხური ლექსების მონაცემებსაც, მათ შორის მეგრული ხალხური ლექსის სტრუქტურებს, რის შესახებაც გვინდა ჩვენი აზრი გავაცნოთ მკითხველებს.

ნაშრომში ფართოდ არის ასახული ქართული ლექსის რიტმული ორგანიზაციის კვლევის საკითხები. ავტორის სამართლიანი მოსაზრებით, ლექსთწყობის სისტემათა პრინციპული დახასიათება სამ ფუნდამენტურ გამოკვლევას უნდა ემყარებოდეს: სისტემის სტრუქტურულ ანალიზს, დიაქრონიის ანალიზსა და სისტემის კვალიფიკაციას. აღნიშნულის კვალობაზე ნაშრომში საკითხები ასეთი თანამიმდევრობითაა განხილული: ლექსის სტრუქტურული ერთეულები; ლექსთწყობის სისტემა; ანალიზის პრინციპები; საბოლოოდ წიგნში ავტორი აყალიბებს ლექსთმცოდნეობითი კვლევის სრულიად ახალ მეთოდოლოგიას, ლექსთმცოდნეობითი ანალიზის საკუთარ პრინციპებს.

ნაშრომის ერთ-ერთი საინტერესო, შეიძლება ითქვას, უმთავრესი პრობლემაა — რეკონსტრუქციის საკითხები, რომელთაც ცალკე გვინდა შევეხოთ. ავტორის ერთ-ერთი დებულება ისაა, რომ „საკუთრივ ქართული ლექსთწყობის სისტემა იწყება მაშინ, როდესაც მოქმედებას იწყებს ყველა ერთეულის ტოლ ნაწილებად ბინარული გაკვეთის პრინციპი, ეს არის ქართული ლექსთწყობის განვითარების საწყისი საფეხური, რომელიც შემონახულია მეგრულ ლექსში“ (გვ. 11). ავტორის ეს დებულება, შემდგომი კვლევა-ძიებისას, მეტ დამაჯერებლობას იძენს, ამასთან, მას ძალზე პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება.

ავტორი სრულიად სამართლიანად ასკვნის, რომ ის ვერსიფიკაციული ვითარება, რომელიც ახასიათებს ქართული ლექსთწყობის განვითარების პირველ საფეხურს, ჩამოყალიბდა და ამოქმედდა კარგა ხნით ადრე მე-6-7 საუკუნემდე (გვ. 94). ავტორის მთელი ძალისხმევა წინა საფეხურის აღდგენისკენაა მიმართული. ამ მხრივ ჩატარებული კვლევა-ძიება ძალზე მასშტაბურია.

საინტერესოა, რომ მეგრულ-დიალექტოვანი ქართული ლექსის სისტემა გვიჩვენებს ისეთ ვითარებას, როდესაც „სისტემაში მოქმედებს მხოლოდ ორ ტოლ შემადგენლად გაკვეთის პრინციპი, რაც ორწევრედისთვის იძლევა ორ სტრუქტურას 4+4 და 5+5... მეგრულში საერთოდ არ არის რეალიზებული... 5+3 (დაბალი შაირი), რომელიც დამინანტურია აღმოსავლურ-ქართული ლექსისათვის, ხოლო აღმოსავლეთის მთის ლექსისათვის პრაქტიკულად ერთადერთია“ (გვ. 107). ამგვარად, მეგრული ლექსი ორი ყველაზე უფრო პოპულარული ქართული საზომიდან „ირჩევს“ 4+4 და უარყოფს 5+3-ს.

რაც შეეხება საერთო-ქართველურ ფუძე-ლექსს, პრასისტემას, ავტორის აზრით, იგი თეორიულად უნდა აღდგეს მოცემული ორი პრინციპული საფეხურის (ტოლად და არატოლად გაყოფის) წინა ვითარების სახით.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ავტორის მსჯელობა ძალზე კომპეტენტურია. სურათი ცოტა უფრო სრული რომ იყოს, აღვნიშნავთ იმასაც, რომ, რეკონსტრუქციის გარდა, ნაშრომში დაყენებულია — ასევე პირველად — პროგნოზირების პრობლემაც, ნავარაუდევია შესაძლებელი განვითარების სქემაც.

მცირე რეცენზიაში, ძნელია ყველა ამ საკითხზე დაწვრილებითი საუბარი, ჩვენ მხოლოდ ერთ პრობლემას შევეხეთ. დაინტერესებული მკითხველი უსათუოდ თვითონ გაეცნობა ამ წიგნს, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან შენაძენად უნდა მივიჩნიოთ ლექსთმცოდნეობის განვითარების ისტორიაში.

სააქციონერო საზოგადოება
„საქართველოს უნივერსალური ბირჟა“

ს/ს „საქართველოს უნივერსალური ბირჟა“ და ისტორიკოსთა შემოქმედებითი ჯგუფი დამოუკიდებელ ტელეკომპანია „იბერვიზიასთან“ შეთანხმებით ქმნის გადაცემათა ციკლს ძველი ქართული მატერიალური კულტურის პოპულარიზაციისათვის.

გადაცემებში არსებული ისტორიული წყაროებითა და არქეოლოგიური მონაცემებით გაშუქდება საქართველოს ძირძველი რეგიონები, მათ შორის აფხაზეთი და სამაჩაბლო. ფართო აუდიტორიის წინაშე მიმოვიხილავთ ყველა სადავო ისტორიულ პრობლემას, უშუალოდ იმ გამოჩენილ მეცნიერთა მონაწილეობით, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე იკვლევენ ჩვენი ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებს. განხილული იქნება ამავე რეგიონებში ძველი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების მდგომარეობა.

საუბარი იქნება ქართული სპელეისტიკის (გამოქვაბულთმცოდნეობის) კვლევა-ძიებასა და შესაბამის მეცნიერულ პრობლემებზე (ვარძია, ვანისქვაბები, დავით გარეჯი.....). შევეხებით ბაგრატიონთა საგვარეულოს წარსულს, მათ წარმომავლობას, სხვადასხვა განშტოებათა ისტორიას, შევჩერდებით ბაგრატიონთა სამეფო გვარის თანამედროვე შთამომავლებზე.

ყველა დაინტერესებულ კერძო თუ იურიდიულ პირს შეუძლია შემოიტანოს თანხა გადაცემათა ციკლის შესაქმნელად. ანგარიში: 700161924 კოოპ-ბანკი „დრო“ 467002 ეროვნული ბანკის საოპ. სამმართველო მფო 522759 ს/ს „საქართველოს უნივერსალური ბირჟა“. გადმორიცხვის დოკუმენტზე აღნიშნეთ საქველმოქმედო გადარიცხვა-კულტურის ძეგლების შესასწავლად.

დამოუკიდებელი ტელეკომპანია „იბერვიზია“ უზრუნველყოფს სპონსორების საქმიანობის რეკლამას.
დაინტერესებულმა პირებმა დარეკონ: 95-33-77, 39-27-65

მწამს, მჯერა!

(დასასრული)

რომ გაიძახიან — იარაღი არა მაქვს, ჯარში არ მიმსახურია, თავს ხომ არ მოვაკვლევინებ, ჩემს ცოლ-შვილს ვინ შეინახავსო... გულში კი კარგადაც უწყით შინ დარჩენის ნამდვილი მიზეზი...

კომუნისტური ცხოვრების წესმა, ქრთამის ლეგალიზაციამ, ერთმანეთის მოტყუებისა და „ჩაშვების“ წესმა, ნუვორიშულმა სულისკვეთებამ, მარტოოდენ საკუთარი ბინით შემოსაზღვრულმა „მამულმა“, სამართალსა და სიკეთეზე ბალღობიდანვე გაორებულმა წარმოდგენამ დაანგრია ის მშვენიერი ტაძარი, რომელიც ჩვენმა მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ, ყოველი ჩვენგანის სულში ასე რუდუნებით ააგო, უსახლკაროდ, ღია ცის ქვეშ დაგვტოვა და სალოცავი მოგვისპო..

...და მაინც, მწამს, მჯერა — ჩაფერფლილ შეგნებაში ღმერთმა სულ მცირე, ნამცეცისოდენა სიკეთე მაინც ხომ ყველას დაგვიტოვა, რომ განსაცდელის ჟამს ამ პატარა ნაკვერჩხალმა ვაჟკაცობის, ღირსების კოცონი ააგიზგიზოს, ჩვენ, ჩვენივე თავი დაგვიბრუნოს...

მახსოვს, გერმანია-საბჭოთა კავშირის 1941-1945 წლების ომის დაწყების მეორე დღესვე საქართველოში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. მილიციისა და მოხალისეთა დახმარებით შეიქმნა საველე ტრიბუნალები, რომლებსაც დეზერტირობის, მაროდიორობისა და საბოტაჟის წინააღმდეგ ბრძოლა ევალებოდათ. რესპუბლიკის ყველა საინფორმაციო სამსახური სამხედრო ცენზურას დაემორჩილა. ყოველ შენობას, უბანს და რაიონს დაენიშნა სამხედრო კომენდანტი. აღირიცხა მთელი საცხოვრებელი ფონდი, მათ შორის აგარაკებიც, რომლებიც ლტოლვილებისათვის გამზადდა. სამობილიზაციო უწყების მიღების შემდეგ კომისარიატში ორი საათით დაგვიანებაც კი სამხედრო ტრიბუნალით გასამართლების საფუძველს იძლეოდა. სამხედრო სამსახურზე უარის თქმა ანუ დეზერტირობა, წესისამებრ, დახვრეტას ნიშნავდა. კატეგორიულად აიკრძალა კერძო მანქანებით მიმოსვლა. სამუშაო დრო გაიზარდა 2-4 საათით. სურსათი, განსაკუთრებით პური, უმკაცრეს კონტროლს დაექვემდებარა, მოსახლეობას უშუალოდ სამუშაო ადგილზე ურიგდებოდა. რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობა საომარ რეჟიმზე გადავიდა. სამსახურში 15 წუთით დაგვიანებაც კი სულ ცოტა სამი თვის პატიმრობას ნიშნავდა. გაუქმდა დაწყებით კლასებში სწავლა, მოხდა სკოლების კონტინგენტის შემჭიდროვება და გამოთავისუფლებული ფართობი ჰოსპიტალებს გადაეცათ. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე ომის პირველი ორი წლის განმავლობაში მოქმედებდა კომენდანტის საათი. სამხედრო პატრული ქუჩაში თუ მოხეტიალე ახალგაზრდას შენიშნავდა, აკავებდა და შესაბამისი საბუთის უქონლობის შემთხვევაში საჯარიმო ბატალიონში გზავნიდა.

...ომში მონაწილეობა მიიღო 750 000-მდე ქართველმა, ამის თითქმის ნახევარმა თავი გასწირა და... რუსეთმა ომი მოიგო.

მოხალისეთა ხელით სამამულო ომი ჯერ არავის მოუგია... მოხალისეს შეუძლია ხალხი მხოლოდ აღანთოს, ან თავი გასწიროს. ომს იგებს კომისარიატის უწყებით გამოძახებული, მშობლებისა და ახლობლების მიერ მწარედ გამოტირებული რიგითი ჯარისკაცი, რომელიც მთელი თავისი არსებით ცდილობს გამარჯვებული მალე დაბრუნდეს შინ..

...გმირი ლაჩრების მფარველია, რაც მეტი მშიშარაა, მით მეტად იზრდება თავგანწირვის საჭიროება, რაც ათმა ჩვეულებრივმა მებრძოლმა უნდა მოიმოქმედოს, ის ერთს რჩება... და ეს ერთი, უმეტეს შემთხვევაში, იღუპება.

...უშფოთველ გუნებაზე მყოფმა ვაჟკაცმა რომელიც ნოყიერი სადილის შემდეგ შინ, სავარძელში მოკალათებული, აფხაზეთში გაჩაღებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ტელევიზორით მონაწილეობს, მინდა იცოდეს — თავისი ქცევით მანაც ესროლა გმირის მკერდს ტყვია...

სამხედრო თვალსაზრისით, აფხაზეთისა და შიდა ქართლის პრობლემა არ არსებობს — მილიონიანი (სულ ცოტა!) ქართველ ქალთა და კაცთა გულანთებული ლაშქარი მოღალატეთა და უმადურთა ბანდებს უმალ შემუსრავს...

...გენერალმა დუდაევმა რუსეთის ჯარს, თავისსავე, ესე იგი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე — ჩეჩნეთში ფეხის შედგმაც კი აუკრძალა, ღაზავატით დაემუქრა, და უძლიერესმა ძალამ უკან დაიხია, ხიფათს აერიდა. ჩვენს ძირძველ მიწა-წყალზე მტრულად განწყობილ უცხო ქვეყნის შენაერთს ვლოლიავებით..

რისი გვეშინია, რა უნდა მოხდეს იმაზე საზარელი, რაც ამჟამად ხდება — საქართველო ხელიდან გვეცლება?!

...11 ოქტომბერს ასე ერთსულოვნად არჩეულმა ჩვენმა მხედართმთავარმა და სახელმწიფოს მეთაურმა მინდა იცოდეს — მილიონიანი ქართველთა ლაშქარი მზად არის, მხოლოდ ბრძანებას ელის...

უიარაღობა ნუ შეაკრთობს — იარაღს ქართველი ოდითგანვე მტერს ართმევდა...

ომი სახელმწიფოს ექსტრემალურ მდგომარეობაში აყენებს. ომის დროს კონსტიტუცია, რაოდენ დემოკრატიული სულისკვეთებითაც უნდა იყოს დაწერილი, თავის მოქმედებას წყვეტს და ხალხი უმკაცრესი სამხედრო დისციპლინის მარწუხებში ექცევა. ომში გამარჯვების სხვა გზა არ არსებობს.

...ბედაური ნაპრალს მარტო ფეხების შემწეობით როდი გადაევლება, მისი სხეულის ყოველი ნაკვთი, ერთ კუნთად შეკრული, მონაწილეობს ამ ნახტომში... ჩვენმა სახელმწიფომაც ამ საზარელ განსაცდელს ბედაურივით უნდა გადაუაროს — საყოველთაო მობილიზაციით, თავგანწირვით, გამარჯვების გარდაუვალობის რწმენით!

..არა თუ გარკვეული ფენა, ან ჯგუფი, თუ ერთი კაციც კი გულგრილი დარჩა, ან უიმედობით განიმსჭვალა, მსხვერპლი უმალ იმატებს და გამარჯვება საეჭვო გახდება...

როცა ომის ცეცხლი გიზგიზებს, ვერაგი მტერი უმოწყალოდ რჩეულ შვილებს გვიხოცავს, „მშვიდობისმოყვარეობაზე“ ლაპარაკი ომის გაჭიანურებას ნიშნავს...

თუ ქართველობამ, გაგრაში სამარცხვინო დამარცხების შემდეგ, გამარჯვებით სული არ მოითქვა, ომი არ დამთავრდება...

ახალი სამხედრო ჰოსპიტალი

სოხუმის მახლობლად გაიხსნა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთში პირველი მრავალპროფილიანი სამხედრო ჰოსპიტალი.

იგი დაკომპლექტებულია, როგორც ადგილობრივი მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალით, ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამედიცინო სამმართველოს კადრებით.

ჰოსპიტალში შექმნილია ყველა პირობა დაჭრილებისა და ავადმყოფების მკურნალობისთვის. ჰოსპიტალი უზრუნველყოფილია უახლესი სამედიცინო აპარატურით.

ეს ჩვენი საქართველოა!



ჯვრის მონასტერი.

სანდრო მამასახლისის ფოტო.

ფესტივალი

მუსიკალური ექსპრესია შეუდარებელია

ლალი სეთურიძე,
მუსიკისმცოდნე.



საქართველოს ტელერადიოდეპარტამენტის სიმებიანი კვარტეტი ახლახან წარმატებით გამოვიდა საფრანგეთის პრესტიჟულ ფესტივალზე — „შამბორის ფესტივალი“, იყო ქალაქ ნანტში, სადაც დიდი კონცერტი გამართა.

წერილი, რომელსაც გთავაზობთ, კვარტეტის მოკლე „ბიოგრაფიაა“.

კვარტეტმა არსებობის ცამეტი წლის მანძილზე ცხადყო, რომ ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებას ჰყავს თვითმყოფი კოლექტივი.

მისი პირველი შემადგენლობა— ლევან ჩხეიძე, გია ხინთიბიძე, არჩილ ხარაძე და რევაზ მაჩაბელი ერთად უკრავდნენ სახელმწიფო კამერულ ორკესტრში და იქ, ცნობილი მუსიკოსის პროფესორ ბორის ჭიაურელის თაოსნობით ჩაეყარა ამ კვარტეტს საფუძველი; 1980 წლიდან კი უკვე ტელერადიოდეპარტამენტის კოლექტივია.

საკვარტეტო მუსიცირება სპეციფიკურად რთულია: შემსრულებელმა შეიძლება დაკარგოს თავისი ინდივიდუალური სახე და ვერ გამოავლინოს პარტნიორობის განსაკუთრებული უნარი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ნებისმიერი ანსამბლი. საკვარტეტო შესრულება მუსიკოსისგან მაქსიმალურ ურთიერთგაგებას მოითხოვს. საბედნიეროდ ამ კვარტეტის მუსიკოსებს მუსიკალური სტილის ერთიანი შეგრძნების უტყუარი ალღო ახასიათებს.

ალბათ, ამანაც განაპირობა მათი დიდი გამარჯვება 1987 წელს შოსტაკოვიჩის სახელობის პირველ საერთაშორისო კონკურსზე სანქტ-პეტერბურგში. შემდეგ ისინი წარმატებით გამოდიან გერმანიაში, ჩეხეთ-სლოვაკეთში, ბულგარეთში, პოლონეთში... 1988 წელს დამსახურებულად მოიპოვეს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია. 1990 წელს ფირმა „ევროკონცერტის“ მიწვევით გაემგზავრნენ საფრანგეთში, კონცერტები გამართეს პარიზის პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებში. დასანანია, რომ სწორედ აღზევების პერიოდში ისეთმა მუსიკოსმა, როგორიცაა ლევან ჩხეიძე, დატოვა კვარტეტი. პირველი ვიოლინოს ფუნქცია დაეკისრა ასევე შესანიშნავ მუსიკოსს გია მელიშვილს და, საბედნიეროდ, ის ანსამბლურობა, რაც ასე გვხიბლავდა მათ შესრულებაში, არ დარღვეულა.

ქართველ კომპოზიტორთა არაერთი ქმნილება პირველად ამ კვარტეტმა შეასრულა, ხოლო სულხან ცინცაძემ თავისი მე-11 კვარტეტი მათ უძღვნა, კვარტეტის რეპერტუარშია მუსიკალურ ენციკლოპედიად აღიარებული ბეთჰოვენის თითქმის ყველა კვარტეტი, დასავლეთის კლასიკა. მათი შესრულებით აჟღერდა პირველად თანამედროვე ევროპულ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, სანქტ-პეტერბურგში, თანამედროვე მუსიკის ფესტივალზე, მათ შეასრულეს ნორვეგიელი კომპოზიტორის ოდვარ კვამის და იუგოსლავი ვლადიმირ ნიკოლოვსკის კვარტეტები.

ქართული მუსიკის დიდმა თაყვანისმცემელმა, ფირმა „ევროკონცერტის“ დირექტორმა ნატალი პლეჟემ მოგვაწოდა საგაზეთო რეცენზიები, რომლებშიც ანსამბლის იმ დიდი წარმატებების შესახებაა საუბარი, მუსიკოსებმა რომ მოიპოვეს მოცარტის გარდაცვალებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტებზე ქალაქ ბლუაში.

ეს მუსიკოსები ადრეც იყვნენ საფრანგეთში და წარმატებითაც გამოდიოდნენ ორი თვის მანძილზე.

ამის წინათ კვარტეტი დაბრუნდა საფრანგეთიდან.

ფრანგული გაზეთი „პარი ნორმანდი“ ჩვენს სიმებიან კვარტეტზე წერდა, „არიან მუსიკოსები, რომელთაც ეს მუსიკა ისევე ეკუთვნით, როგორც კომპოზიტორს, იმიტომ, რომ მათ აკავშირებთ შემოქმედებითი, ნათესაური კავშირები, რომლებიც საერთო სულიერ განცდებს ეფუძნება. ამ ერთიანობის ძალა აღემატება დროის ფაქტორს, მუსიკალური ექსპრესია აღწევს იმ ჭეშმარიტებას, რომელიც თავისი მშვენიერებით შეუდარებელია“.

ჩვენს გასაჭირზე

სითბო ბინებში

გასათბობი სეზონი თბილისში, თუმცა მნიშვნელოვანი დაგვიანებით და არა ყველგან, მაგრამ მაინც დაიწყო. სითბო პირველებმა იგრძნეს სამედიცინო დაწესებულებებმა, სკოლებმა, საბავშვო ბაღებმა, პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა. მათ შემდეგ სათბობ სისტემაში ჩართეს საცხოვრებელი სახლები, სხვადასხვა სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები.

ქალაქ თბილისის მერიის სათბობი მეურნეობის სამმართველოს უფროსმა თემურ გურგენიძემ განაცხადა, რომ ეს შესაძლებელი გახდა ყაზახეთიდან გაზის მიღების მეოხებით. მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, კიდევ ათი დღე დასჭირდება იმას, რომ ტექნოლოგიური ციკლით სრული ძალით ამუშავდეს მთელი სისტემა. რაც შეეხება ცხელ წყალს, მისი გაცხელების სიძვირის გამო, თბომეურნეები კვლავ უბრუნდებიან გრაფიკს — ორი დასვენების დღე კვირაში. თბილისელებს იმედი გაუჩნდათ, რომ არა მარტო თბილ ბინებში შეხვდებიან ახალ წელს, არამედ მოემზადებიან კიდეც საახალწლოდ.

●

ობლის სევდას რა გააქარვებს

კოჯრის საბავშვო სახლის აღსაზრდელებს თბილისის საავიაციო ქარხნის თანამშრომლები ეწვივნენ. მათ პატარებს მოუტანეს ტკბილეულობა, ხილი, სხვადასხვა პროდუქტი, ველოსიპედები. ქარხნის დირექტორმა ბატონმა ავთანდილ ხოფერიამ ბავშვებს აცნობა, რომ დღეიდან ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივი მათ სპონსორობას კისრულობს, რაც ნიშნავს, რომ ობლების ლხინი და ჭირი მათთვის გასაყოფი იქნება. ავიატორებმა თავიანთი პატარა მეგობრები ექსკურსიაზე ქარხნის დასათვალიერებლად მიიწვიეს. ექსკურსიის ხარჯები და მისი ორგანიზაცია სტუმრებმა იკისრეს.

●

აირჩიეს თავმჯდომარე

როგორც საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის პრესცენტრი გვაცნობებს, საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პრეზიდიუმის წევრი, ადვოკატი ვლადიმერ იოსების ძე ბარათაშვილი.

ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას!

ეს გამოთქმა, როგორც წესი, გადატანითი მნიშვნელობით იხმარება ვისიმე ნამოქმედარის გამოსააშკარავებლად და სამხილებლად. აქ არავის მხილებას არ ვაპირებ, თუმცა ისტორიული გეოგრაფიული სახელების განზრახ გაუკუღმართება არავის არ ეპატიება. ამ წერილს ერთი მიზანი აქვს: თავისი სახელი დაერქვას ყველა სახელგაუკუღმართებულ პუნქტს.

წიგნში „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“ არის ერთი უაღრესად საინტერესო დანართი — „გადარქმეული დასახლებული პუნქტები“, სადაც ცხრილის სახითაა მოცემული საქართველოს დასახლებული პუნქტების ახალი და ძველი სახელწოდებანი და გადარქმევის თარიღი. შეიძლება გაუგო (გაუგო — არ ნიშნავს, გაამართლო) იმ ხალხს, ვინც თავისი კარიერისტულ-მონური ზრახვებიდან გამომდინარე, ქუჩებს, საწარმოებს თუ სოფლებს ბელადების ან იმ დროს ცნობილი პირების სახელს არქმევდა, მაგრამ ყოვლად გაუგებარია, რა პრინციპით ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, როდესაც ერთი ხელის მოსმით, სახელდობრ, 1955 წლის 16 აპრილის ბრძანებულებით, გააუკუღმართა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, აფხაზეთის უამრავი სოფლის სახელწოდება.

მოდით, მივყვეთ ცხრილს:

ახალი სახელწოდება	წინანდელი სახელწოდება
ს. ალპიისკოე	ს. ალპური
ს. არმიანსკოე უშჩელიე	ს. ბზისხევი
ს. ანუხვა არმიანსკოე	ს. მეორე ანუხვა
ს. ათარა არმიანსკოე	ს. მეორე ათარა
ს. გრუზინსკოე უშჩელიე	ს. საქართველოს ხეობა
ს. დაჩა	აგარაკი
ს. დემერჩენც	ს. ფსოუხხევი
ს. ესტონკა	ს. ბალნაშენი
ს. ვლადიმიროვკა	ს. კოდორი
ს. ვერხნი ეშერა	ს. ზემო-ეშერა
ს. ვერხნი იაშთხვა	ს. ზემო იაშთხვა
ს. ვესიოლოვკა	ს. სალხინო
ს. ვერხნი მწარა	ს. ზემო მწარა
ს. ვტოროი არასძიხი	ს. მეორე არასძიხი
ს. ვტოროი კოპიტ	ს. ზემო ბედია
ს. ვერხნი აფიანჩი	ს. ზემო აფიანჩი
ს. ნიჟნი მწარა	ქვემო მწარა
ს. ნიჟნი აფიანჩი	ს. ქვემო აფიანჩი
ს. ნიჟნი იაშთხვა	ს. ქვემო იაშთხვა
ს. ორეხოვო	კაკლიანი
ს. ოტრადნოე	ს. სიხარული
დ. პიცუნდა	ს. ბიჭვინთა
ს. პერვი კოპიტ	ს. პირველი კოპიტი
ს. ხოლოდნაიარეჩკა	ს. ცივწყარო

ეს რომ ვისიმე (ვთქვათ, აფხაზების) გულის მოსაგებად იყოს გაკეთებული, კიდევ მოეძებნებოდა რაღაც ახსნა, მაგრამ პირადად მე ამაში ვხედავ მხოლოდ და მხოლოდ ენის გათახსირების და ადგილობრივი (და არა მარტო ადგილობრივი) მოსახლეობის შეურაცხყოფის ცდას — თან ფრიად წარმატებულს.

არა მგონია, წინანდელ სახელწოდებათა აღდგენას რაიმე ახალი კომიტეტის თუ კომისიის შექმნა დასჭირდეს, საჭიროა მხოლოდ გამოიცეს ბრძანებულება ამ სამარცხვინო დადგენილების გასაუქმებლად. ისე კი, რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ დაწყებულ სასიკეთო საქმეს (მხედველობაში მაქვს თბილისის რაიონების, რამდენიმე სასოფლო რაიონის ისტორიულ სახელწოდებათა აღდგენა) სათანადო ორგანოები ბოლომდე მიიყვანენ.

არჩილ მანჯგალაძე.

ჩვენი მთა-ბარის ამბები

ეს მშობლიური სითბოა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა საბჭო, რომელიც ახლახან შექმნილი ორგანიზაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის“ — უნივერსიტეტის ფილიალად გაფორმდა, ტრადიციულად იწევს საქველმოქმედო საქმიანობას. მან ამ ცოტა ხნის წინათ შეაგროვა თბილი ტანსაცმელი, ნაწილი გადასცა აფხაზეთიდან ლტოლვილებს, ნაწილი „მწვანეთა“ პარტიას, რათა მას იგი, თავის მხრივ, გაჭირვებულთათვის დაერიგებინა.

ახლახან ფილოლოგიის ფაკულტეტის თანამშრომლებმა ორი დღის ხელფასი გაიღეს, რამაც 60000 მანეთი შეადგინა და იგი სასტუმრო „ივერიაში“ დაბინავებულ აფხაზეთიდან ლტოლვილებს გადასცეს.

ლტოლვილთა კომიტეტის წევრებმა ქალბატონებმა ცაური ნოდიამ, მერი მალანიამ და ელისო ნავერიანმა მადლობა გადაუხადეს ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ კორნელი დანელიას და პროფკავშირის საფაკულტეტო ორგანიზაციის ხელმძღვანელს დოცენტ რეზო ხვედელიძეს, რომლებმაც ძნელბედობაში ჩავარდნილთ პირადად მიუტანეს ეს თანხა.

დიანა ჩომახაშვილი.

საპატიო პრეზიდენტი მოსკოვში ცხოვრობს

გაიმართა სრულიად საქართველოს საზოგადოება „ზესტაფონის“ დამფუძნებელი ყრილობა.

საზოგადოების პრეზიდენტად არჩეულია საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის იურიდიული განყოფილების გამგე ბატონი თეიმურაზ გიჟაძე.

საზოგადოების საპატიო პრეზიდენტად არჩეულია მოსკოვში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, ცნობილი ქველმოქმედი და ბიზნესმენი ბატონი ოთარ კვანტრიშვილი.

თბილისი: ღამის ქრონიკა

უბენზინობის გამო სასწრაფო დახმარების ყველა მანქანა ვერ გავიდა გამოძახებებზე 16 დეკემბერს ღამით, უთხრეს საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტს ცენტრალურ სადისპეტჩეროში. მხოლოდ ხუთი „სასწრაფო“ მორიგეობდა [illegible] თბილისის აეროპორტში. მათ ცენტრალური სასწრაფო დახმარების ფილიალში კახეთის გზატკეცილზე აფხაზეთში ორი გმირულად დაღუპული მეომრის გვამი მიიტანეს. მიიყვანეს აგრეთვე თბილისელი დაჭრილი მეომრები შალვა ნოზაძე, თემურ მერაბიშვილი და იური ფილია.

იმავე ღამეს, როგორც საქალაქო პოლიციის შტაბის ოპერატიულმა მორიგემ თქვა, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისათვის ღამემ განსაკუთრებული შემთხვევების გარეშე ჩაიარა. პატრულებს არ დაუფიქსირებიათ საზოგადოებრივი წესრიგის არსებითი დარღვევები, თუ არ ჩავთვლით მკვლელობას, რომელიც წინა დღით მოხდა უაზნევისა და გურამიშვილის ქუჩების კუთხეში. აქ მხეცურად მოკლეს შუახნის უცნობი მამაკაცი. დანის ჭრილობა გულმკერდის არეში აქვს მიყენებული. მიმდინარეობს გამოძიება.

აღადგენენ ხიდებს

აღადგენენ დივერსანტთა მიერ ამას წინათ აფეთქებულ 78 მეტრი სიგრძის რკინიგზის ხიდს ზობი-ხეთას გადასარბენზე. საქართველოს რკინიგზის სამმართველოს უფროსის რეზო ვაშაკიძის აზრით, ხუთ დღეში მწყობრში ჩადგება ხიდი ინგირ-სალხინოს მონაკვეთზე.

თენგიზ ჩხიკვაძე.

— ხომ არ დაგავიწყდათ —

ჩვენი გაზეთის გამოწერა?

თუ გინდათ,
რომ ცხოვრებას
არ ჩამორჩეთ
და ყველაფერი იცოდეთ,
რაც დედამიწის
ზურგზე ხდება,
გამოიწერეთ ყველაზე
იაფი ყოველდღიური
ქართული გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა

იჩქარეთ!

ხელმოწერის დამთავრებამდე
მხოლოდ 3 დღე დარჩა!

შეგახსენებთ, რომ მათ, ვისაც დამატებითი ხელმოწერის გამო გადახდილი აქვს 110 ან 88 მანეთი, ეს თანხა 1993 წლის ხელმოწერის ღირებულებაში ჩაეთვლებათ.

„ეგრისი“ — ევროპაში

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა რესპუბლიკის საკლუბო ჩემპიონატი.

ბოლო ტურში სენაკის „ეგრისმა“ ანგარიშით 4,5:0,5 მოუგო მედიკოსთა ასოციაციის ფონდს — „პრემიერს“, მოაგროვა 28,5 ქულა და მოიპოვა უფლება გაისად საქართველოს წარმოადგენდეს ევროპის საკლუბო ჩემპიონატში.

დაიწყო არდადეგები

ვერის ბაღის მიხეილ კაკალიძის სახელობის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართა ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის დასკვნითი შეხვედრები „ბ“ ჯგუფის გუნდებს შორის.

ამ დღის მატჩების შედეგები ასეთია: „ვითა“-„სოხუმი-91“ — 103:77, „შევარდენი“ — „მართვე“ — 82:76.

დღეისათვის 13 გამარჯვებით სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას ფიზკულტურის ინსტიტუტის „ვითა“. 12-12 ქულა მოაგროვეს „მერანმა“ და „დინამომ“.

ჩემპიონატი 1993 წლის თებერვალში განახლდება.

წყვილები ცნობილია

ფეხბურთში უეფას თასის გათამაშების მეოთხედფინალური ეტაპის წილისყრის შედეგად მეტოქეები ასე დაწყვილდნენ. მადრიდის „რეალი“ — საფრანგეთის „პარი სენ-ჟერმენი“, იტალიის „რომა“ — დორტმუნდის „ბორუსია“, ლისაბონის „ბენფიკა“ — ტურინის „იუვენტუსი“, საფრანგეთის „ოსერი“ — ამსტერდამის „აიაქსი“.

შეხვედრები, ისევე როგორც ჩემპიონთა ლიგასა და თასების მფლობელთა თასზე, გაიმართება გაისად 3 და 17 მარტს.

ასპარეზობა მაინც გაიმართა

თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გაიმართა საქართველოს პირველობა ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში (ცხენის გაწვრთნილობა, სამჭიდი, დაბრკოლებათა გადალახვა). თბილისელი გულშემატკივრები რესპუბლიკური ასპარეზობის თბილისში ჩატარებას მონატრულნი ყოველთვის იყვნენ, მაგრამ წლევანდელი ჩემპიონატი, ცხადია, ვერ ჩაითვლება ამ მოლოდინის აღსრულებად: არსებითად ამ შეჯიბრებაში მხოლოდ თბილისელი სპორტსმენები მონაწილეობდნენ — ომმა, მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ შეუძლებელი გახადა ე. წ. საცხენოსნო რაიონებიდან მონაწილეთა ჩამოსვლა, მარტო ჩამოსვლაზე რომ ყოფილიყო საქმე, კიდევ რა უშავს: სიმართლე არ უნდა დავუმალოთ ჩვენს მკითხველებს: დაღუპულია საუკეთესო სპორტული ბედაურები, შეჩერებულია სპორტული მუშაობა. თუ ამ საქმეს ომის დამთავრებისთანავე ეშველება, ცხენების ზარალი მაინც დიდხანს მძიმე ლოდად დააწვება რესპუბლიკის საცხენოსნო სპორტს.

დალხინებული დღეები არც თბილისის ცხენ-მხედრებს უდგათ. ასე რომ, შეჯიბრებისთვის თავის მომზადება, პერიოდულად შიმშილის პირზე მყოფი ცხენების სასპარეზოდ მომზადების მთელმა სიძნელემ საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტის თბილისის საცხენოსნო ბაზისა და განათლების სამინისტროს მოზარდთა და ბავშვთა სკოლის ხელმძღვანელობისა და მწვრთნელების მხრებზე გადაიარა.

გაწვრთნილობაში („დიდი პრიზი“) ტრადიციულად აშკარა იყო საცხენოსნო ბაზის უპირატესობა: პირველი ადგილი — ოქსანა მისკელი (ცხენი „აკეტი“) — 653 ქულა, II — იუნონა კოჟინა („კარნავალსი“, 689), III — გელა სურგულაძე („მამბო“, 607).

სამჭიდს, ცხენების ფიზიკური მოუმზადებლობის გამო, გამოაკლდა საველე გამოცდა. გაწვრთნილობისა და დაბრკოლებათა გადალახვის ჯამში ჩემპიონი გახდა საცხენოსნო ბაზის სპორტსმენი გიორგი ღოღობერიძე (ცხენი „ტონი“, 51,4 საჯარიმო ქულა). II იყო ვიქტორ გოგლიძე (საზოგადოება „ბედაური“, ცხენი „ფაგი“, 55,6 საჯარიმო ქულა), III— ხვიჩა თანელიშვილი საცხენოსნო ბაზა, „იქსუდატი“, 68,9).

დაბრკოლებათა გადალახვა განათლების სამინისტროს სკოლის გამარჯვებით დამთავრდა. გახსნის პრიზზე უჯარიმოდ იასპარეზა თბილისის 101-ე სპორტსკოლის მოსწავლემ როინ მარგიანმა (ცხენი „სადახლო“). II იყო ბაზის წარმომადგენელი კახაბერ კიკიანი („ხოლმი“, 3 საჯარიმო ქულა), — III — ალექსანდრე შელიძე („ხორასანი“, 8).

ამავე სახეობის მთავარ ასპარეზობაში „საქართველოს თასი“, სიმაღლე 130 სმ) სკოლის სპორტსმენები სამივე საპრიზო ადგილს დაეუფლნენ: I — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი, სკოლაშივე აღზრდილი და ამჟამად მწვრთნელი ჯიმშერ ბერძენიშვილი (ცხენი „დაკარი“, უჯარიმოდ), II — ა. შელიძე (8 საჯარიმო ქულა), III — რ. მარგიანი (11,25).

რესპუბლიკის ჩემპიონატმა ახლა ამ სპექტითაც დაგვანახა ჩვენი დღევანდელი ძნელბედობა, მაგრამ გამარჯვებულები მაინც მილოცვას იმსახურებენ. მით უმეტეს, რომ მათ ამ ზაფხულ-შემოდგომაზე, თავიანთ ერთგულ მწვრთნელთან იური კლიმენკოსთან ერთად უფრო ხშირად „ცხენის ძოვებაში“ უხდებოდათ ვარჯიში, ვიდრე დაბრკოლებების გადალახვაში. აღსანიშნავია კერძო საზოგადოების „ბედაურის“ აქტიური მონაწილეობა ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში თავისი დაუღალავი ბერეიტორის ვ. გოგლიძის თაოსნობით. ეს საზოგადოება, სანაშენე მუშაობის პარალელურად, ყველა ასპარეზობაში მონაწილეობს საკუთარი ცხენებით და, როგორც ვნახეთ, წარმატებასაც აღწევს. ეს ტენდენცია სხვებისთვისაც მისაბაძი უნდა გახდეს.

ნოდარ ებრალიძე.



საერთაშორისო ასოციაცია „დეტექტივი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ოჩამჩირის რაიონში საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა ასოციაციის თანამშრომელი, დივიზია „თბილისელის“ მებრძოლი

გელა ივანეს ძე მინდიკაური

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშტარაულის 19.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66484

XI